

ადამიანის უფლებათა ეროვნული სასამართლო

მეორე სექცია

საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

CASE OF SAGHINADZE AND OTHERS v. GEORGIA

განაცხადი №18768/05

განჩინება

(არსებითი განხილვა)

სტრასბურგი

2010 წლის 27 მაისი

წინამდებარე განჩინება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული გარემოებების დადგომისას. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით

ფრანსუაზა ტულკენსი, თავმჯდომარე
ირენეუ კაბრალ ბარეტო,
დანუტე ჟოსიენი,
დრაგოლიუბ პოპოვიჩი,
ანდრას საჯო,
ნონა წოწორია,
კრისტინა პარდალოსი, მოსამართლეები
და სალი დოლე, სექციის რეგისტრატორი,

მოითათბირა განმარტებით 2010 წლის 29 აპრილს და გამოიტანა იმავე დღეს მიღებული წინამდებარე განჩინება

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ექვსი ქართველი მოქალაქის ბ-ნ ბატაბი სალინაძის („პირველი განმცხადებელი“), ქ-ნ ლია სალინაძის („მეორე განმცხადებელი“), ბ-ნ ვასილ სალინაძის („მესამე განმცხადებელი“), ქ-ნ ნანაბლიაძის („მეოთხე განმცხადებელი“), ქ-ნ ქეთევან სალინაძის („მეხუთე განმცხადებელი“) და ქ-ნ ნინო სალინაძის („მექვსე განმცხადებელი“) მიერ 2005 წლის 27 აპრილს საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან. თავდაპირველად განაცხადი ეხებოდა განმცხადებელთა გამოსახლებას მათი სახლიდან. 2006 წლის 13 დეკემბერს კი პირველმა განმცხადებელმა წარადგინა ახალი საჩივარი მის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით.

2. განმცხადებელთა ინტერესებს წარმოადგენდნენ თბილისში მოღვაწე ადვოკატები ბ-ნი ზურაბ თოდუა და ბ-ნი მალხაზ პატარაია. საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა მთავრობის ყოფილი წარმომადგენელი ბ-ნი დავით თომაძე იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2007 წლის 29 აგვისტოს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ეცნობებინა საქართველოს მთავრობისათვის განმცხადებლის მიერ კონვენციის მე-3, მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან, მე-8 მუხლთან და დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თანადროულად განხილულიყო განაცხადის არსებითი მხარე და მის დაშვებადობასთან დაკავშირებული საკითხები (29 –ე მუხლის მე-3 პუნქტი).

4. 2007 წლის 25 დეკემბერს და 2008 წლის 29 თებერვალს მთავრობამ და განმცხადებლებმა წარადგინეს წერილობითი კომენტარები შესაბამის საჩივრებთან დაკავშირებით (სასამართლოს რეგლამენტის 54-ე (ა) წესი).

5. 2008 წლის 30 ივლისს და 5 აგვისტოს, ასევე 2009 წლის 5 ოქტომბერს, განმცხადებლებმა საკუთარი ინიციატივით და სასამართლოს მოთხოვნის გარეშე წარადგინეს გრძელი წერილობითი კომენტარები, რომელშიც იმეორებდნენ ადრეულ კომენტარებში უკვე წარდგენილ არგუმენტებს. განმცხადებლები ასევე უთითებდნენ ახალ და საქმესთან კავშირის არ მქონე საჩივრებზე. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხსენებული არგუმენტაცია არ უნდა ყოფილიყო დაშვებული და შესული სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის მასალებში, სასამართლოს რეგლამენტის 38-ე წესის 1-ლი პუნქტის შესაბამისად და იმ პრაქტიკული სახელმძღვანელოს თანახმად, რომელიც გამოცემულ იქნა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ 2003 წლის 1 ნოემბერს.

შაჰტუბო

I. საქმის გარემოებები

6. პირველი და მეორე განმცხადებელი ცოლ ქმარნი არიან. ისინი დაიბადნენ 1937 წელს. მათი ვაჟი, მესამე განმცხადებელი და მისი ცოლი მეოთხე განმცხადებელი შესაბამისად დაიბადნენ 1964 წელს და 1970 წელს. მეხუთე და მეექვსე განმცხადებელი არიან პირველი და მეორე განმცხადებლის ქალიშვილები და ისინი შესაბამისად დაიბადნენ 1962 და 1971 წლებში.

7. განმცხადებლები, მეოთხე განმცხადებლის გამოკლებით, აფხაზეთიდან (საქართველო) იძულებით ადგილნაცვალნი პირები არიან. 1992 – 93 წლების კონფლიქტის შედეგად, განმცხადებლები სხვა, დაახლოებით 300 000 უმეტესად ეთნიკურ ქართველთან ერთად გამოიქცნენ აფხაზეთიდან სადაც დატოვეს თავიანთი სახლები და ქონება.

8. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ განმცხადებელი იყო მაღალი თანამდებობის პირი აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 1994 წლის იანვარში შესთავაზა მას საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა შინაგან საქმეთა სამინისტროში. მას შემდგომ რაც პირველმა განმცხადებელმა მიიღო შეთავაზება, იგი და მისი ოჯახი შესახლდნენ კოტეჯში, რომელიც ეკუთვნოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მდებარეობდა ავჭალის ქუჩა №15, თბილისის გარეუბანში („კოტეჯი“).

9. საქმის მასალების თანახმად კოტეჯი სამინისტროს საკუთრება გახდა 1993 წლის 29 ოქტომბერს. შინაგან საქმეთა მინისტრის №531 ბრძანებით, რომელიც ზემოხსენებულ დღეს იქნა გამოცემული, სამინისტრომ დაიბრუნა კოტეჯი სახელმწიფო სპორტულ კლუბ დინამოსაგან და კოტეჯის გამოყენებაზე პასუხისმგებელი შეიქმნა სამინისტროს ფინანსებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი. 1993 წლის 29 ოქტომბრის ბრძანების თანახმად კოტეჯის უკან დაბრუნება სამინისტროსათვის გამართლებული იყო „სამინისტროს პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ზრდით, რასაც თან ერთვის აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტის შედეგად შ.ს.ს. გამოძევებული თანამშრომლებისათვის დასაქმებისა და საცხოვრებლის უზრუნველყოფა“.

10. პირველმა განმცხადებელმა და მისმა ოჯახმა დაიწვეს კოტეჯის მიმდებარე სათავსოების გამოყენება, რათა შეექმნათ მცირე საოჯახო მეურნეობა. მათ დაამონტაჟეს სხვადასხვა სახის მოწყობილობა და ხეივანი ხილის და ბოსტნეულის მოსაყვანად, შინაური ფრინველის და მცირე ოდენობის შინაური ცხოველის მოსაშენებლად. მოგვიანებით სადინაძეების ოჯახმა უფასო თავშესაფარი მისცა რვა უსახლკარო ნათესავს, რომლებიც ანალოგიურად იყვნენ დევნილები აფხაზეთიდან („სადინაძეების ოჯახის ნათესავები“). 1998 თუ 199 წელს მესამე განმცხადებელი დაქორწინდა მეოთხე განმცხადებელზე და ხსენებული წყვილი ასევე ცხოვრობდა კოტეჯში.

11. 1998 წელს პირველი განმცხადებელი პენსიაზე გავიდა და დატოვა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

12. 2000 წლის 20 აპრილს სამინისტრომ გამოსცა წერილი, რომლითაც ადასტურებდა პირველი განმცხადებლის მიერ კოტეჯისა და მიმდებარე სათავსოების ფლობის კანონიერებას („2000 წლის 20 აპრილის სამინისტროს წერილი“). წერილის თანახმად პირველი განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები შესახლდნენ კოტეჯში 1994 წელს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად და იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა შესახებ 1996 წლის 28 ივნისის კანონის თანახმად („იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა კანონი). წერილი ასევე იუწყებოდა, რომ საკუთრება დროებითი ხასიათის იყო, ვადა არ იყო განსაზღვრული და მესაკუთრეს ეკისრებოდა საკუთრებაზე ზრუნვის ვალდებულება. ხსენებული წერილის ასლი ასევე გადაეგზავნათ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ინფორმაციისათვის.

13. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა 2001 წელს მეხუთე განმცხადებელმა დატოვა კოტეჯი და საცხოვრებლად გადავიდა თავის ქმართან ერთად უკრაინაში. 2001 წლის 31 აგვისტოს მეექვსე განმცხადებელი გახდა კოტეჯის მიმდებარე მიწის ნაწილის რეგისტრირებული მესაკუთრე.

ბ. კალაძის საქმე

14. 2003 წლის ნოემბერში ვარდების რევოლუციის შემდგომ მალევე (უფრო მეტი დეტალისათვის იხ. საქმე საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ №9103/04, §§ 11-13, 2008 წლის 8 ივლისი), ახლად დანიშნულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა პენსიიდან უკან გამოიძახა პირველი განმცხადებელი და სთხოვა მას ეხელმძღვანელა კალაძის საქმესთან დაკავშირებული გამოძიებისათვის. ხსენებული გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოძიებაც ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს 2001 წლიდან მოყოლებული, ეხებოდა საფეხბურთო კლუბ მილანის ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ბ-ნი კახი კალაძის ძმის გატაცებას და გაუჩინარებას. მიიღო რა ხსენებული შეთავაზება პირველ განმცხადებელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება და 2003 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით დაინიშნა დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფის უფროსად, რომელსაც უნდა გამოეძიებინა კალაძის საქმე და გატაცების სხვა გახმაურებული საქმეები.

15. პირველი განმცხადებლის თანახმად მისმა საგამოძიებო ჯგუფმა შეძლო ნათელი მოეფინა კალაძის საქმესთან დაკავშირებული გარემოებებისათვის მომდევნო თვეებში. სავარაუდოდ გამოძიების ხსენებული შედეგები გამაღიზიანებელი აღმოჩნდა კონკრეტული მაღალი თანამდებობის პირებისათვის, რომლებიც ხელს აფარებდნენ ქართულ ფეხბურთში მიმდინარე სისხლისსამართლებრივ მაქინაციებს და 2004 წლის 30 მარტს მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა ი.ო-მ პირადად მოსთხოვა პირველ განმცხადებელს გამოძიების ჩიხში შეეყვანა.

16. 2004 წლის ივნისში გენერალური პროკურორი ი.ო. დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად. სავარაუდოდ ახლად დანიშნულმა მინისტრმა მოხსნა განმცხადებელი კალაძის საქმის გამოძიებიდან და გაათავისუფლა იგი სამსახურიდან დამამცირებელი ფორმით 2004 წლის 26 ივნისს.

17. 2004 წლის 13 ოქტომბერს პირველმა განმცხადებელმა წარუდგინა კონფიდენციალური მასალები ეროვნული უშიშროების საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოს. სავარაუდოდ ხსენებული მასალები მოიცავდა ინფორმაციას, რომელიც წარმოაჩენდა ბ-ნი ი.ო-ს და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებს.

ბ. კოტეჯიდან გამოსახლება

18. 2004 წლის 25 ოქტომბერს პოლიცია მივიდა სალინაძის ოჯახში და შინაგან საქმეთა მინისტრის ი.ო-ს სიტყვიერი მითითების შესაბამისად მოსთხოვა მაცხოვრებლებს კოტეჯის დატოვება. პირველმა განმცხადებელმა მათ წარუდგინა სამინისტროს 2000 წლის 20 აპრილის წერილი როგორც იმის დადასტურება, რომ იგი კანონიერად ფლობდა საკუთრებას და მოსთხოვა პოლიციას ოჯახის დატოვება.

19. 2004 წლის 30 ოქტომბერს პოლიცია კვლავ მივიდა სალინაძის ოჯახში იგივე გამოსახლების მოთხოვნით. თუმცა პოლიციამ ვერ შეძლო სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენა და შესაბამისად პირველმა განმცხადებელმა არ მისცა მათ მისი და მისი ოჯახის გამოსახლების შესაძლებლობა.

20. 2004 წლის 31 ოქტომბერს პოლიციამ განახორციელა განმცხადებელთა გამოსახლების მორიგი მცდელობა. ამ ჯერზე კოტეჯში სავარაუდოდ შეიჭრა დაახლოებით თხუთმეტი პოლიციელი და სპეცდანიშნულების რაზმის რამოდენიმე წევრი, რომლებიც ატარებდნენ ნიღბებს. მათ გაიმეორეს, რომ მიღებული ჰქონდათ სიტყვიერი ბრძანება შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მათ გამოძევებასთან დაკავშირებით. პირველი განმცხადებელი გაცხარებით ეკამათებოდა ოფიცრებს და სთხოვდა მათ ან ეჩვენებინათ მის ბინაში შესვლის სასამართლო ნებართვა ან დაეტოვებინათ მისი სახლი დაუყოვნებლივ. დაძაბული სიტუაციის შემსწრე მეორე განმცხადებელს წაუვიდა გული. მეოთხე განმცხადებელს, რომელიც ფეხმძიმე იყო, ასევე ნერვული აშლილობა დაეწყო. რადგანაც პოლიციას არ გააჩნდა შესაბამისი სასამართლო ბრძანება, მათ დატოვეს ინციდენტის ადგილი.

21. განმცხადებელთა თანახმად 2004 წლის 1 ნოემბერს დაახლოებით სამოცი შეიარაღებული სპეციალური დანიშნულების დანაყოფის წარმომადგენელისაგან

შემდგარი ჯგუფი, რომლებიც ატარებდნენ ნიღბებს, შეიჭრნენ კოტეჯში. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ხელმძღვანელობდა ხსენებულ ოპერაციას. პოლიციამ, რომელსაც არ გააჩნდა ასეთი ოპერაციის განხორციელებისათვის საჭირო არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი, იძულებით გამოასახლა მეორე განმცხადებელი და სალინაძის ოჯახის ნათესავები კოტეჯიდან (სხვა განმცხადებლები, მათ შორის პირველი განმცხადებელი, არ იყვნენ სახლში ხსენებული ინციდენტის დროს). გამოსახლების შემდგომ, პოლიციის რამოდენიმე ოფიცერი განთავსდა კოტეჯში. მომიჯნავე მიწის ნაკვეთი, რომელიც მეექვსე განმცხადებლის რეგისტრირებულ საკუთრებას წარმოადგენდა, ასევე იქნა დაკავებული პოლიციის მიერ.

დ. სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც გამოყენებულ იქნა განმცხადებლების მიერ

22. 2004 წლის 1 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ პირველმა განმცხადებელმა აღძრა სამოქალაქო სამართალწარმოება და ასევე შეიტანა სისხლის სამართლებრივი საჩივარი, რომლითაც ასაჩივრებდა კოტეჯის თვითნებურად ჩამორთმევას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირის მიერ მისთვის პროფესიული საქმიანობისათვის ხელის შეშლას.

23. იმ სამართალწარმოებებში, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული, პირველი განმცხადებელი წარმოდგენილი იყო, როგორც ერთადერთი მოსარჩელე. დარჩენილი ხუთი განმცხადებელიდან არცერთს არ წარმოუდგენია დოკუმენტი, რომლითაც მინდობილობას მისცემდა პირველ განმცხადებელს ან ადვოკატს რომ წარმოედგინათ მათი ინტერესები. შესაბამისად იმდენად რამდენადაც ეს ეხებოდა საკუთრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ პირველი განმცხადებლის სარჩელს ეროვნული სასამართლოები შემოიფარგლნენ კოტეჯზე პირველი განმცხადებლის საკუთრების უფლების განხილვით (იხ. წინამდებარე განჩინების 26-ე, 33-37-ე და 43-44-ე პუნქტები).

24. პირველი განმცხადებლის მიერ აღძრული სამართალწარმოების პარალელურად, მეექვსე განმცხადებელმა მოიგო სამართალწარმოება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განჩინების 21-ე პუნქტი). მისი საჩივრების შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტრომ დატოვა მიწა 2005 წლის 14 მარტს.

1. პირველი განმცხადებლის მიერ საკუთრების დაბრუნებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

ა) სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

25. 2004 წლის 22 ნოემბერს პირველმა განმცხადებელმა წარადგინა სამოქალაქო სარჩელი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ, რომლითაც ითხოვდა საკუთრების, კოტეჯის, დაბრუნებას სამოქალაქო კოდექსის 155-ე, 159-ე და 160-ე მუხლების შესაბამისად. პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ კოტეჯი მის კანონიერ საკუთრებაში იმყოფებოდა და ის და მისი ოჯახი მას საცხოვრებლად იყენებდა 1994 წლის შემდგომ. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ყველა მისი პირადი და საოჯახო ნივთი იმყოფებოდა დალუქულ კოტეჯში, ხოლო მას და მის ოჯახს აღარ გააჩნდათ სხვა საცხოვრებელი ადგილი, პირველი განმცხადებელი

ასევე ითხოვდა უზრუნველყოფის ღონისძიების სახით კოტეჯში ცხოვრების უფლებას დავის საბოლოო გადაწყვეტამდე. იმავე დღეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ უარყო უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული მოთხოვნა უსაფუძვლოების მოტივით, თუმცა განმცხადებლის სარჩელი სრულად ცნო დაშვებულად არსებით განხილვაზე. პირველმა განმცხადებელმა ამის შემდგომ მოითხოვა, რომ იმ შემთხვევაში თუკი მისი სარჩელი დაკმაყოფილდებოდა დაუყოვნებლივ ყოფილიყო იგი მიმართული აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის 268-ე მუხლის შესაბამისად.

26. 2004 წლის 30 დეკემბრით დათარიღებული გადაწყვეტილებით, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა პირველი განმცხადებლის სარჩელი და უბრძანა მოპასუხე სამინისტროს უკან გადაეცა კოტეჯი განმცხადებლისათვის. მხედველობაში მიიღო რა სამინისტროს 2000 წლის 20 აპრილი წერილი, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ განმცხადებელი და მისი ოჯახი მაშინდელი მინისტრის ბრძანების საფუძველზე შესახლდნენ კოტეჯში როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულები, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი კანონიერად ფლობდა საკუთრებას. სასამართლომ ამავე დროს განმარტა, რომ 1996 წლის 28 ივნისის იძულებით გადაადგილებულ/დევნილ პირთა შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავდა იძულებით გადაადგილებულ იმ პირთა გამოსახლებას, რომლებსაც უკვე გააჩნდათ საცხოვრებელი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც (ა) მათთან მიღწეული იქნებოდა შეთანხმება, (ბ) ალტერნატიული საცხოვრებელი იქნებოდა შეთავაზებული, (გ) გამოსახლება აუცილებლად იქნებოდა მიჩნეული შესაბამისი აქტების თანახმად და გადახდილ იქნებოდა ადექვატური კომპენსაცია, ან (დ) იძულებით გადაადგილებულმა პირ(ებ)მა დაიკავა სადაო შენობა თვითნებურად ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. რადგანაც არცერთი ზემოხსენებული პირობა არ იქნა დაკმაყოფილებული პირველი განმცხადებლის შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ 2004 წლის 1-ელ ნოემბერს განხორციელებული გამოძიება არაკანონიერი იყო. რაიონულმა სასამართლომ ასევე გააკრიტიკა რესპოდენტი სამინისტრო რაიმე სახის კანონიერი გადაწყვეტილების გარეშე და მხოლოდ მინისტრის ზეპირსიტყვიერი ბრძანების საფუძველზე, კოტეჯის ჩამორთმევის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტი, როგორიც არის მინისტრის ბრძანება შესაძლებელია გამოცემულ იქნეს ზეპირსიტყვიერად განსაკუთრებულ გარემოებებში, ხოლო სამი დღის განმავლობაში იგი წერილობითი ფორმით უნდა იქნეს წარმოდგენილი, რაც წინამდებარე შემთხვევაში არ მომხდარა. ზემოხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ კოტეჯზე საკუთრების უფლება უნდა აღდგენოდა პირველ განმცხადებელს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის შესაბამისად.

27. თუმცა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ უარი განაცხადა ებრძანებინა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა. გადაწყვეტილების თანახმად უარი აღსასრულებლად დაუყოვნებლად მიქცევაზე გამართლებული იყო მოპასუხე სამინისტროს იმ არგუმენტით, რომ გამოსახლების შემდგომ სამინისტროს სპეც დანიშნულების დანაყოფი იყო განთავსებული კოტეჯში, რაც მოითხოვდა შესაბამის დროს მათ გამოსახლებლად.

28. 2005 წლის 6 იანვარს პირველი განმცხადებლის მხარდამჭერები მივიდნენ კოტეჯში. ნახეს რა, რომ ეს უკანასკნელი ცარიელი იყო, მათ შეიტყვეს ორი პოლიციელისაგან, რომლებიც იცავდნენ შენობას, რომ სადინადის ოჯახის გამოსახლების შემდგომ ოთახები დაილუქა და არანაირი სპეცდანიშნულების რაზმი არ ყოფილა იქ განთავსებული. ხსენებულ დაფიქსირებულ იქნა ადგილზე შედგენილ დოკუმენტში.

ბ) სააპელაციო სამართალწარმოება

29. 2005 წლის 27 იანვარს მოპასუხე სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2004 წლის 30 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება. უთითებდა რა იმ ფაქტზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ნებართვა მისცა განმცხადებელს გამოეყენებინა კოტეჯი, სამინისტრო აკონკრეტებდა, რომ განმცხადებლის საკუთრების უფლება კონკრეტულ ქონებაზე დროებითი ხასიათის იყო მხოლოდ. შესაბამისად პირველი განმცხადებლის უფლების გაუქმება და შესაბამისად მისი ოჯახის გამოსახლება, არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონოდ. სამინისტრო ასევე ამტკიცებდა, რომ კოტეჯი და მიმდებარე მიწა წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის სტრატეგიული ობიექტს.

30. 2005 წლის 13 თებერვალს პირველმა განმცხადებელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2004 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება, ამ უკანასკნელის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში. შესაბამის ოქმზე დაყრდნობით (იხ. 28-ე პუნქტი) განმცხადებელი ჩიოდა, რომ მოპასუხე სამინისტრომ შეცდომაში შეიყვანა პირველი ინსტანციის სასამართლო კოტეჯში პოლიციის დანაყოფის განთავსებასთან დაკავშირებით. კოტეჯის დაუყოვნებლივ დაბრუნებასთან დაკავშირებული მეორე არგუმენტად განმცხადებელი უთითებდა მისი ოჯახის ზოგიერთი წევრის მძიმე სოციალურ სიტუაციაზე და საცხოვრებლის არ ქონაზე. ამგვარად სხვა არგუმენტებს შორის პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ მეხუთე განმცხადებელი უახლოეს ხანში დაბრუნდებოდა უკრაინიდან ახლადშობილი ბავშვით და მას კოტეჯის გარდა არსად არ გააჩნდა საცხოვრებელი.

31. 2005 წლის 19 დეკემბერს თბილისის საოლქო სასამართლომ გამართა საქმის არსებითი მოსმენა. ხსენებული მოსმენის დროს სამინისტრომ კვლავ დაადასტურა, რომ გარდა „ბ-ნი ი.ო-ს ზეპირი მითითებისა“ არანაირი სხვა სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა კოტეჯის ჩამორთმევისათვის. სამინისტრომ ასევე განაცხადა, რომ პირველ განმცხადებელს რამოდენიმეჯერ შესთავაზეს წაეღო პირადი და საოჯახო ნივთები კოტეჯიდან, მაგრამ მან და მისი ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს თანამშრომლობაზე.

32. საოლქო სასამართლომ ასევე განიხილა ორი მოწმის ბ-ნი დ.მ და ბ-ნი ჯ.მ. -ს წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებები, რომლებიც იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები იმ დროს, როდესაც პირველი განმცხადებელი ცხოვრობდა კოტეჯში. ხსენებულმა მოწმეებმა განაცხადეს, რომ პირველმა განმცხადებელმა მიწერა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს 1993 წლის იანვარში და დასაქმებისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული თხოვნით მიმართა მას. შინაგან საქმეთა მინისტრმა ხსენებული თხოვნა დააკმაყოფილა თავისი ხელმოწერით და შესაბამისად განმცხადებელს შესთავაზეს სამინისტროში ახალი პოსტი და შეასახლეს კოტეჯში. ხსენებული გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ პირველი

განმცხადებელი იყო კვალიფიციური თანამშრომელი, რომელიც ცნობილი იყო თავისი საგამოძიებო უნარ-ჩვევებით და დარჩა უსახკაროდ აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად.

33. თბილისის საოლქო სასამართლომ ამავე დღეს გამოიტანა გადაწყვეტილება და სრულად დააკმაყოფილა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი. სასამართლომ აღნიშნა ის ფაქტი, რომ პირველი განმცხადებელი იყენებდა კოტეჯს და მიმდებარე სათავსოებს 1994 წლის იანვრიდან 2004 წლის 1 ნოემბრამდე. მიუთითა რა 1993 წლის 29 ოქტომბრის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაზე (წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტი) სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ კოტეჯი წარმოადგენდა სამინისტროს საკუთრებას შესაბამისი დროისათვის. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ პირველ განმცხადებელს არასოდეს დაურეგისტრირებია საკუთრების უფლება შესაბამის უძრავ ქონებაზე.

34. სააპელაციო სასამართლო ასევე შეეხო იმ საკითხის განხილვას, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ფლობდა პირველი განმცხადებელი კოტეჯს. სასამართლოს განცხადებით სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ამ კუთხით უნდა განხილულიყო იყო ის თუ რამდენად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ პირველმა განმცხადებელმა კანონიერად მოიპოვა ქონება. კანონიერება გამორიცხული იქნებოდა იმ შემთხვევაში თუკი პირველი განმცხადებელი შეძლებდა იმის გაანალიზებას, რომ მან არაკანონიერად მოიპოვა ქონება. ხსენებულის საპირისპიროდ იმ შემთხვევაში თუკი აღმოჩნდებოდა, რომ მისი ქონება არაკანონიერი იყო მაგრამ განმცხადებელმა არაფერი იცოდა ხსენებულის შესახებ, უნდა ჩათვლილიყო, რომ განმცხადებელი კეთილსინდისიერად ფლობდა საკუთრებას.

35. იხელმძღვანელა რა ზემოხსენებული პრინციპებით საოლქო სასამართლომ განაცხადა, რომ რადგანაც პირველმა განმცხადებელმა ვერ შეძლო წარმოედგინა სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ კოტეჯი მას კანონიერად გადაეცა, ქონებრივი უფლების წარმოშობა შეიძლება ითქვას, რომ არ იყო კანონიერი. სამინისტროს 2000 წლის 20 აპრილის წერილი არ იქნა მიჩნეული ჯეროვან მტკიცებულებად ხსენებულთან დაკავშირებით, რადგანაც ეს უკანასკნელი შეიცავდა ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას. ამგვარად სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მაშინ როდესაც წერილი ამტკიცებდა იმ ფაქტს, რომ პირველმა განმცხადებელმა კოტეჯი მოიპოვა 1994 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხსენებული კანონი რეალურად მოგვიანებით შევიდა ძალაში კერძოდ კი 1996 წლის 28 ივნისს. გარდა ხსენებულისა სასამართლოს აზრით მხოლოდ ცალკე აღებულ ერთ წერილს არ შეეძლო წარმოეშვა სამართლებრივი ურთიერთობები. საოლქო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პირველ განმცხადებელს არ შეეძლო დაყრდნობოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა/ დევნილთა შესახებ კანონს, რადგანაც ეს უკანასკნელი ძალაში შევიდა მხოლოდ მას შემდგომ რაც განმცხადებელი უკვე შესახლდა კოტეჯში. ნებისმიერ შემთხვევაში ხსენებული კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც კრძალავდა იძულებით გადაადგილებული პირის გამოსახლებას სასამართლო ბრძანების გარეშე, არ გამოიყენებოდა ხსენებულ სიტუაციასთან მიმართებაში, რადგანაც ეს მუხლი კანონს დაემატა 2005 წლის 6 აპრილს, ანუ მას შემდგომ რაც განმცხადებელს კოტეჯი ჩამოერთვა 2004 წლის 1 ნოემბერს.

36. ზემოხსენებულიდან გამომდინარე თბილისის საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველ განმცხადებელს უნდა გაეანალიზებინა ის ფაქტი, რომ მის მიერ კოტეჯის ფლობა არ იყო კანონიერი. ხსენებულის გათვალისწინებით, მოპასუხე სამინისტროს, როგორც კოტეჯის კანონიერ მესაკუთრეს, უფლება ჰქონდა პირველი განმცხადებლისაგან, როგორც არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან, უკან მოეთხოვა თავისი საკუთრება სამოქალაქო კოდექსის 160-ე და 172§1 მუხლების შესაბამისად.

37. სააპელაციო სასამართლოს ერთ ერთი მოსამართლე არ დაეთანხმა უმრავლესობას და განსხვავებული მოსაზრება წარმოადგინა. ხსენებული მოსამართლის აზრით მოპასუხე სამინისტროს 2000 წლის 20 აპრილის წერილი ნათლად წარმოაჩენდა იმ ფაქტს, რომ პირველმა განმცხადებელმა შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის ბრძანების საფუძველზე მოიპოვა კოტეჯი. შესაბამისად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო, რომ იგი არაკეთილსინდისიერად ფლობდა საკუთრებას. მოსამართლე ასევე აღნიშნავდა, რომ მაშინ როდესაც სამინისტროს გააჩნდა უპირატესი უფლება კოტეჯზე, პირველ განმცხადებელს მაინც ჰქონდა იმის უფლება რომ უკან დაებრუნებინა ქონება სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის ბოლო ნაწილის შესაბამისად.

გ) საკასაციო სამართალწარმოება

38. 2006 წლის 27 იანვარს პირველმა განმცხადებელმა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში შეიტანა საკასაციო საჩივარი. უთითებდა რა 2000 წლის 22 აპრილით დათარიღებულ სამინისტროს წერილზე ისევე როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილეების ჩვენებებზე და საქმის სხვა მასალებზე, პირველი განმცხადებელი ასაჩივრებდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც მიიჩნია, რომ იგი არაკეთილსინდისიერად ფლობდა საკუთრებას. განმცხადებელი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ იგი არ შესახლებულა კოტეჯში თვითნებურად, არამედ მას კოტეჯი შესთავაზა მოპასუხე სამინისტრომ. მის მიერ ქონების ფლობის კანონიერება ასევე დასტურდებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის 1993 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებული ბრძანებით, რომელზეც უთითებდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში. პირველი განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მინისტრის ხსენებული ბრძანება ნათლად წარმოაჩენდა იმ ფაქტს, რომ როდესაც განმცხადებელი შესახლებულ იქნა კოტეჯში, სამინისტროს გააჩნდა იმის უფლებამოსილება, რომ კოტეჯი გამოეყენებინა უსახლკაროდ დარჩენილი იძულებით გადაადგილებული კოლეგების შესახლებისათვის.

39. პირველი განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მთავარი მიზეზი რატომაც გადაეცა მას კოტეჯი ზედმეტი ფორმალობების გარეშე მდგომარეობდა ჰუმანიტარულ კრიზისში, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში 1993-1994 წლებში, როდესაც დაახლოებით 300 000 უსახლკაროდ დარჩენილ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს მწვავედ ესაჭიროებოდა თავშესაფრის მიცემა ცენტრალური მთავრობის მიერ. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც დაახლოებით 150 000 იძულებით გადაადგილებულ პირს სახელმწიფომ მისცა საცხოვრებელი აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ, პირველი განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ არარეალისტური იყო იმის მოლოდინი, რომ საკუთრების გადაცემისას ყველა ფორმალობა ზედმიწევნით იქნებოდა დაცული თითოეულ შემთხვევაში. პირველი განმცხადებელი უთითებდა მრავალ შიდა სამართლებრივ აქტზე – სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 30 დეკემბრით, 1993

წლის 2 ოქტომბრით და 1995 წლის 29 მარტით დათარიღებულ ბრძანებულებებზე, 1994 წლის 31 დეკემბრით და 1996 წლის 17 აპრილით დათარიღებულ მინისტრთა კაბინეტის და პარლამენტის შესაბამის დადგენილებებზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა შესახებ 1996 წლის 28 ივნისის კანონზე, პრეზიდენტის 2002 წლის 5 იანვრის განკარგულებაზე და სხვ. რომლის თანახმადაც საქართველოს სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება საცხოვრებელი უზრუნველყო იძულებით გადაადგილებული პირებისათვის. სახელმწიფოზე დაკისრებული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მისი შესახლება კოტეჯში და კოტეჯის მის მფლობელობაში გადაცემა სრულიად კანონიერი იყო.

40. პირველი განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ მისთვის და მისი ოჯახისათვის საცხოვრებლის ჩამორთმევამდე სამინისტროს აღნიშნული უფლებამოსილება უნდა მოეპოვებინა სასამართლოსაგან. თუმცა გამოსახლება განხორციელდა არამხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, არამედ ასევე წერილობითი ადმინისტრაციული აქტის გარეშეც. ხსენებულთან დაკავშირებით პირველი განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაამახვილა ყურადღება იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც ძალაში იყო შესული გამოსახლების დროისათვის და ნათლად კრძალავდა იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსახლებას რომლებიც უკვე შესახლებული იყვნენ საცხოვრებელში, შესაბამისი სამართალწარმოების განხორციელებისა და შესაბამისი კომპენსაციის გადახდის გარეშე. თავისი არგუმენტების გასამყარებლად განმცხადებელი უთითებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე ხინთიბიძის და სხვების ანალოგიურ საქმეზე (იხ. წინამდებარე განხილვის 69-ე პუნქტი). და ბოლოს, უთითებდა რა თავის მძიმე სოციალურ და ფინანსურ მდგომარეობაზე, პირველი განმცხადებელი ითხოვდა სრულ გათავისუფლებას სასამართლო ბაჟისაგან ან სასამართლო ბაჟის განწილვადებას საქმის განხილვის შემდგომ.

41. 2006 წლის 24 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ შენიშვნა მისცა პირველ განმცხადებელს სასამართლო ბაჟის გადაუხდელობის გამო და უბრძანა მას სასამართლო ბაჟის დაფარვა მომდევნო 15 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი განმცხადებელს ეცნობა, რომ მისი საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩებოდა. 2006 წლის 17 მარტს პირველმა განმცხადებელმა გადაიხადა 1200 ლარი (510 ევრო), რაც შეესაბამებოდა კანონით მოთხოვნილ სადაო კოტეჯის ღირებულების 4%. განმცხადებელმა ასევე წარადგინა სასამართლოს წინაშე შეთანხმება, რომელიც ადასტურებდა, რომ ხსენებული თანხა მას ასესხა კერძო პირმა 2 წლის ვადით.

42. 2006 წლის 27 სექტემბერს, უზენაესმა სასამართლომ უარყო განმცხადებლის საკასაციო საჩივარი და სრულად დატოვა ძალაში სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება.

43. დაეყრდნო რა სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციას უზენაესმა სასამართლომ გაიმეორა, რომ პირველ განმცხადებელს სამოქალაქო კოდექსის 160-ე და 162-ე მუხლების შესაბამისად შეეძლო უკან მოეთხოვა კოტეჯი მისი მესაკუთრე, მოპასუხე სამინისტროსაგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ამ კოტეჯზე თავდაპირველი ეტაპიდანვე საკუთრება კანონიერად იქნებოდა განხორციელებული. კანონიერება ნიშნავდა იმას, რომ საკუთრება უნდა ყოფილიყო განხორციელებული სამართლებრივ საფუძველზე. თუმცა

გამომდინარე იმ ფაქტიდან განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს რაიმე სახის კანონიერი გადაწყვეტილება, რომელიც მას შესახლების უფლებას მისცემდა კოტეჯში 1994 წელს, კოტეჯის შემდგომი ფლობა და საკუთრება არ შეიძლება, რომ ჩაითვლილიყო კეთილსინდისიერად. რაც შეეხება მოპასუხე სამინისტროს 2000 წლის 20 აპრილის წერილს, უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა საფუძვლიან არგუმენტად მიეჩნია ეს უკანასკნელი და ხსენებული დაასაბუთა იმით რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1997 წლის 8 სექტემბერს გამოცემული №487 განკარგულებით მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების მართვის სამინისტროს შეეძლო კოტეჯის ასეთი სახით გადაცემა განეხორციელებინა კერძო პირებისათვის. უზენაესმა სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო იყო კომპეტენტური უწყება იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებასთან დაკავშირებით იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად. გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებელს კოტეჯი შესთავაზა არა ამ უკანასკნელმა სამინისტრომ, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საცხოვრებელთან დაკავშირებული გარანტიები, რომლებიც ასახული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონმდებლობაში, არ გამოიყენებოდა ხსენებულ სიტუაციასთან მიმართებაში. ზემოხსენებულიდან გამომდინარე უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამინისტროს, როგორც კოტეჯის კანონიერ მესაკუთრეს, უფლება ჰქონდა ჩამოერთმია სამინისტროს საკუთრება პირველი განმცხადებლისათვის, რომელიც მას არაკეთილსინდისიერად ფლობდა სამოქალაქო კოდექსის 160-ე და 172-ე მუხლი 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

44. უზენაესი სასამართლოს ერთ ერთმა მოსამართლემ განსხვავებული აზრი გამოაქვეყნა. შესაბამისმა მოსამართლემ განაცხადა, რომ წინამდებარე საქმის გარემოებები სულ მცირე იმას მაინც ადასტურებდა, რომ პირველი განმცხადებელი კეთილსინდისიერად ფლობდა კოტეჯს. თუნდაც ჩავთვალოთ, რომ იგი არ იყო კანონიერი მესაკუთრე, მოპასუხე სამინისტროს არ შეეძლო ჩამოერთმია მისთვის კოტეჯი ჯეროვანი სამართალწარმოების გარეშე იძულებით, რაც არღვევდა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლს. ხსენებულიდან გამომდინარე განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლემ დაასკვნა, რომ პირველ განმცხადებელს უფლება ჰქონდა უკან მოეთხოვა კოტეჯი სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის ბოლო ნაწილის შესაბამისად.

2. პირველი განმცხადებლის მიერ შეტანილი სისხლის სამართლის საჩივარი

45. სამართლებრივი დაცვის ზემოხსენებულ სამოქალაქო საშუალებასთან ერთად განმცხადებელმა გამოიყენა სისხლის სამართლებრივი დაცვის საშუალებაც.

46. 2004 წლის 22 ნოემბერს პირველმა განმცხადებელმა თხოვნით მიმართა გენერალურ პროკურორს სისხლის სამართლის საქმე აღედგრა 2004 წლის 1 ნოემბრის იძულებით გამოსახლების ფაქტთან დაკავშირებით და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებისაგან მისთვის კალაძის საქმესთან დაკავშირებული გამოძიებისათვის ხელის შეშლის გამო.

47. 2004 წლის 23 დეკემბერს გენერალურმა პროკურატურამ წერილობით უპასუხა განმცხადებელს, რომ შეუძლებელი იყო სისხლის სამართლის საქმის აღდგრა „შესაბამისი მტკიცებულებების არ არსებობის გამო“.

48. 2005 წლის 8 იანვარს პირველმა განმცხადებელმა გენერალური პროკურატურის 2004 წლის 23 დეკემბრის პასუხი გაასაჩივრა სასამართლოში.

49. 2005 წლის 28 იანვარით დათარიღებულ წერილში შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სახალხო დამცველის მიერ განხორციელებულ მოკვლევასთან დაკავშირებით, წარმოადგინა 2004 წლის 1 ნოემბრის საკუთარი ვერსია. აღიარებდა რა იმ ფაქტს, რომ კოტეჯი გადაეცა პირველ განმცხადებელს საკუთრებაში 1994 წელს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, წერილი იუწყებოდა, რომ ხსენებული საკუთრება „ამჟამად უკანონო გახდა“. შესაბამისად, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება უკან დაებრუნებინა საკუთრებაში მისივე კოტეჯი, მაგრამ პირველმა განმცხადებელმა უარი განაცხადა თანამშრომლობაზე. შედეგად რამოდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდგომ სამინისტრომ პოლიციის მეშვეობით, მაშინ როდესაც პირველი განმცხადებელი არ იმყოფებოდა სახლში, დაარწმუნა მეორე განმცხადებელი და სადინაძის ოჯახის ნათესავები, რათა მათ დაეტოვებინათ კოტეჯი. წერილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გამოსახლება არ იყო იძულებითი, არამედ განხორციელდა ნების გამოვლინების საფუძველზე და მშვიდობიანად და რომ მეორე განმცხადებელმა შეძლო თავად წაეღო საკუთარი ნივთები გამოსახლებისას. რაც შეეხება მოძრავ ქონებას და ნივთებს, რომლებიც დარჩა კოტეჯში, მათ შორის შინაური ფრინველების მცირე ფერმას და მცირე რაოდენობის შინაურ ცხოველებს, სამინისტრო წერილი ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს რამოდენიმეჯერ შესთავაზეს მათი დაბრუნება და ხსენებული მას კიდევ შეეძლო განეხორციელებინა. წერილი იუწყებოდა, რომ 2004 წლის 1 ნოემბრის გამოსახლების შემდგომ კოტეჯი დაილუქა რათა თავიდან ყოფილიყო არიდებული მისი გაძარცვა. ასევე აღნიშნულ იქნა, რომ კოტეჯის რეალური ღირებულება იყო 45541 ლარი (19630 ევრო).

50. 2005 წლის 28 თებერვალს კრწანისი მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ უარყო პირველი განმცხადებლის საჩივარი გენერალური პროკურატურის 2004 წლის 23 დეკემბრით დათარიღებულ პასუხთან დაკავშირებით. სასამართლომ განაცხადა, რომ პროკურატურის არაფორმალური წერილი არ შეიძლება გამხდარიყო სასამართლო განხილვის საგანი და ურჩია პირველ განმცხადებელს გაესაჩივრებინა წერილზე პასუხი ზემდგომი პროკურორის წინაშე.

51. 2005 წლის 9 მარტს პირველმა განმცხადებელმა უზენაეს სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი 2005 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და ამავე დროს წარადგინა საჩივარი ზემდგომ პროკურორთან გენერალურ პროკურატურაში.

52. 2005 წლის 7 აპრილს უზენაესმა სასამართლომ უარყო 2005 წლის 9 მარტს პირველი განმცხადებლის მიერ წარდგენილი კერძო საჩივარი იგივე მიზეზით რაც მოცემული იყო კრწანისი მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებაში. რაც შეეხება ზემდგომ პროკურორთან წარდგენილ საჩივარს, გენერალურმა პროკურორმა განმცხადებელს მიწერა პასუხი, რომელიც წარმოადგენდა სხვას არაფერს თუ არა 2004 წლის 23 დეკემბრით დათარიღებული და გასაჩივრებული წერილის შემდეგი ტერმინებით პერფერაზირებას: „თქვენი თხოვნა, რომელიც ეხებოდა გამოსახლებასთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების აღძვრას... არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მტკიცებულებების არ არსებობის გამო“.

53. 2006 წლის 18 აპრილს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურატურას, რათა ამ უკანასკნელს აღედგრა საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილების გადაჭარბებასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ განმცხადებლისათვის ქონების ჩამოსართმევად სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, სამინისტროს უნდა აღედგრა სამოქალაქო სამართალწარმოება, როგორც ეს მოთხოვნილია ეროვნული კანონმდებლობით.

ე) განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართალწარმოება

54. 2006 წლის 20 თებერვალს პოლიციამ, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების სახით განახორციელა კოტეჯის ჩხრეკა პირველი განმცხადებლისა და მისი ადვოკატის დასწრების გარეშე. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ ჩხრეკას მოწმეების სახით. ჩხრეკის დამთავრების შემდგომ პოლიციამ შეადგინა ოქმი, რომლის თანახმადაც აღმოჩენილ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და სისხლის სამართლის სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები, მათ შორის კალაძის საქმეზეც. იმავე დღეს სისხლის სამართლის საქმე იქნა აღძრული პირველი განმცხადებლის წინააღმდეგ იარაღისა და ოფიციალური დოკუმენტაციის უკანონო შენახვასთან დაკავშირებით. თუმცა ხსენებული პერიოდისათვის განმცხადებელი არ დაუკავებიათ.

55. 2006 წლის 21 თებერვალს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ გადაამოწმა რა გადაუდებელი ჩხრეკის კანონიერება გადაწყვიტა, რომ კანონიერად ეცნო ეს უკანასკნელი და მისი შედეგები *ex post facto*.

56. 2006 წლის 20 მარტს გენერალურმა პროკურატურამ იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც მოპოვებულ იქნა კალაძის საქმის გამოძიებისას, აღძრა სისხლის სამართლის საქმე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც სავარაუდოდ ჩადენილი ჰქონდა პირველი განმცხადებლის საგამოძიებო ნაწილს 2004 წელს (იხ. განჩინების მე-14 და მე-15 პუნქტები). კერძოდ საგამოძიებო ნაწილის რამოდენიმე წევრი, და მათ შორის პირველი განმცხადებელიც, ეჭვმიტანილად იქნენ ცნობილნი გამოძიების განზრახ შეცდომაში შეყვანისათვის, რაც განხორციელდა მოწმე ბ-ნ მ., ისაგან ზეწოლის შედეგად ყალბი ჩვენებების მოპოვების გზით და სხვადასხვა შეთითხნილი მტკიცებულებების მეშვეობით.

57. 2006 წლის 30 მაისს ზემოხსენებული ორი საქმე გაერთიანდა და 2006 წლის 2 ივნისს პირველ განმცხადებელს წარედგინა ბრალი იარაღის არაკანონიერ ფლობაში, ოფიციალური კონფიდენციალური დოკუმენტაციის არასათანადო გამოყენებაში, პირის არასათანადო მოპყრობაში, მტკიცებულებების შეთითხნაში და საჯარო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევებში. ბრალდებები ეფუძნებოდა *inter alia* 2006 წლის 20 თებერვალს განხორციელებულ ჩხრეკის შედეგებს და ბ-ნი მ-ის ჩვენებებს, რომლებიც დანაშაულში ამხელდნენ განმცხადებელს, ისევე როგორც სხვა დოკუმენტებს და ინფორმაციას მათ შორის სხვა შესაბამისი მოწმეებისაგან მოპოვებულ ჩვენებებს, რომლებიც მოპოვებულ იქნა გენერალური პროკურატურის მიერ კალაძის

საქმესთან დაკავშირებით საკუთარი გამოძიების წარმართვის შემდგომ (იხ. განჩინების 56-ე პუნქტი).

58. 2006 წლის 4 ივნისს პირველი განმცხადებელი დააკავეს და მომდევნო დღეს პროკურორმა თხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით. სასამართლოს წინაშე წარდგენილი შუამდგომლობის არგუმენტებად გამოძიება ასახელებდა განმცხადებლის შესაძლო მიმალვის საფრთხეს მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების სიმძიმის გამო, ისევე როგორც გამოძიების ჯეროვნად წარმართვაში განმცხადებლის ჩარევის საფრთხის გამო, რადგანაც როგორც მაღალი თანამდებობის პირი და სამართალდამცავი მოხელე მას შეეძლო მოეხდინა ზეწოლა მოწმეებსა და თვით სამართალწარმოებაზე.

59. 2006 წლის 6 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა პროკურორის მოთხოვნა ზეპირი მოსმენისას. მოსმენისას პირველი განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენდა 2 ადვოკატი. უარყო რა განმცხადებლის შუამდგომლობა გირაოსთან დაკავშირებით, სასამართლომ ბრძანა განმცხადებლისათვის 2 თვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდება. სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ზეპირი კომენტარები და დაადასტურა, რომ არსებობდა იმის გონივრული ეჭვი, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა დანაშაულის ჩადენას. წინასწარი პატიმრობის შეფარდება გამართლებულად იქნა მიჩნეული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 159-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რადგანაც არსებობდა ვარაუდი, რომ ბრალდებულს შეეძლო მიმალვოდა გამოძიებას მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის გათვალისწინებით. და ბოლოს, ხსენებულთან დაკავშირებით ჯეროვანი არგუმენტაციის წარდგენის გარეშე, სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის შიში იმასთან დაკავშირებით, რომ გათავისუფლების შემთხვევაში განმცხადებელს შეეძლო არასათანადო ზეგავლენა მოეხდინა მხარეებსა და სამართალწარმოებაზე.

60. 2006 წლის 7 ივნისს განმცხადებელმა გაასაჩივრა 2006 წლის 6 ივნისის მისთვის პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული სასამართლო ბრძანება და *inter alia* ჩიოდა, რომ ხსენებული ბრძანება მხოლოდ და მხოლოდ ეყრდნობოდა წაყენებული ბრალდების სიმძიმეს და პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ისეთ ფაქტორებს როგორიც იყო მისი ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ოჯახის მძიმე სოციალური სიტუაცია, მისი რეპუტაცია და სოციალური სტატუსი. ასაჩივრებდა რა მის წინააღმდეგ წარდგენილ მტკიცებულებებს, პირველი განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება არსებობდეს გონივრული ეჭვი მის მხრიდან შესაბამისი დანაშაულების ჩადენასთან დაკავშირებით.

61. 2006 წლის 14 ივნისს ზეპირი მოსმენის გარეშე თბილისის სააპელაციო სასამართლომ უარყო პირველი განმცხადებლის საჩივარი. სასამართლოს არ მოუთხოვია წერილობითი კომენტარები პროკურორისაგან და თავისი გადაწყვეტილება დააყრდნო საქმეში არსებული პირველი განმცხადებლის არგუმენტების განხილვის შედეგებს. სასამართლომ ხსენებულ ეტაპზე ნაადრევად ჩათვალა ბრალდების საფუძვლიანობის საკითხის განხილვა და არსებული არგუმენტაციის განხილვის შემდგომ დაადასტურა, რომ არსებობდა გონივრული

ეჭვი პირველი განმცხადებლის საწინააღმდეგოდ. სასამართლომ ძალაში დატოვა პატიმრობის ბრძანება და ხსენებული შემდეგნაირად დაასაბუთა:

„აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდების ხასიათი (საჯარო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და ძალის გამოყენების მუქარა, ქმედებები, რომლებიც განსაკუთრებით საშიშია საჯარო უსაფრთხოებისათვის) ისევე როგორც ბრალდების სიმძიმე (ხსენებული ბრალდებისათვის პირს ემუქრება თუ არა გრძელვადიანი საპატიმრო სასჯელი). უფრო მეტიც გამოძიებამ კვლავაც უნდა დაადასტუროს ამოღებული იარაღის წარმომადგენლობა, იყო თუ არა ისინი გამოყენებული სხვა დანაშაულისას... ზემოხსენებულიდან გამომდინარე პროკურორის შიში, რომ ბრალდებული შესაძლოა მიმალვოდა გამოძიებას და/ან ნეგატიური ზეგავლენა მოეხდინა მხარეებსა და სამართალწარმოებაზე, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბრალდებული 65 წლის არის...შედარებით მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 151-ე მუხლის 1-ელ პუნქტში მოხსენიებული მიზნების მიღწევას.“

გარდა ხსენებულისა სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ პირველმა განმცხადებელმა ვერ შეძლო წარმოედგინა მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაცია. საბოლოო ჯამში სააპელაციო სასამართლომ პასუხი გასცა პირველი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ყველა მნიშვნელოვან არგუმენტს.

62. 2006 წლის 29 ივნისს გამოძიება დამთავრდა და პროკურორმა საბრალდებო დასკვნა, ისევე როგორც პირველი განმცხადებლის პატიმრობასთან დაკავშირებული მასალები და სხვა დოკუმენტაცია, წარმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში. იმავე დღეს მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პირველი განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობა. მოსამართლემ გამოსცა სტანდარტული ფორმით მომზადებული 1 გვერდიანი გადაწყვეტილება, რომელშიც წინასწარ ჩამოყალიბებული დასაბუთება იყო ჩაწერილი. ხსენებულ ბრძანებაში მოსამართლემ შეავსო თავისუფალი ადგილი და მასში ჩაწერა ბრალდებულის სახელი და გვარი, დანაშაულის განმარტება და წინასასამართლო აღკვეთის ღონისძიების ტიპი. წინასწარ დაბეჭდილი დასაბუთება შემდეგნაირად იკითხებოდა:

„წინასწარი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას როგორც ფორმალური (პროცესუალური) საფუძვლები, ასევე ფაქტობრივი საფუძვლები (საკმარისი მტკიცებულებების არსებობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისათვის) მხედველობაში იქნა მიღებული. მოპასუხე ბრალდებულ იქნა სერიოზული დანაშაულის ჩადენაში და მისთვის ყველა სხვა სახის ღონისძიების შეფარდება ვერ უზრუნველყოფდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 151-ე მუხლში მოხსენიებული მიზნების შესრულებას.

განვიხილე რა წარმოდგენილი საქმის მასალები ვთვლი, რომ იმ არგუმენტაციის გათვალისწინებით, რომელიც გამოყენებულ იქნა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, სამართალწარმოების ამ ეტაპზე არ არსებობს რაიმე საფუძველი შერჩეული ღონისძიების შესაცვლელად.“

63. 2007 წლის 22 თებერვალს პირველი განმცხადებელი მსჯავრდებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ იმ დანაშაულების ჩადენაში, რომელთა ჩადენაშიც მას ბრალი ჰქონდა წაყენებული და მიესაჯა 7 წლით პატიმრობა. საქმის მასალების თანახმად ხსენებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა

უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 19 დეკემბერს და პირველი განმცხადებელი ახლაც იხდის სასჯელს.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

64. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც ეხება საკუთრების და მფლობელების ცნებებს ითვალისწინებს შემდეგს:

მუხლი 115. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა
სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღდგეს სხვას.

მუხლი 155. ცნება. სახეები
1. მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით...

3. თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად.

მუხლი 159. კეთილსინდისიერი მფლობელი
კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს, ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე.

მუხლი 160. კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა
თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით.

სამოქალაქო კოდექსის 162-ე, 163-ე, და 164-ე მუხლები ასხვავებენ მფლობელობის სხვადასხვა სახეებს და მათ მიმართ ნაკლები ხარისხის დაცვას უზრუნველყოფენ: (i) მართლზომიერი ფლობა (ცნება რომელიც მოცემულია 159-ე მუხლში თავად მოიცავს კეთილსინდისიერების ელემენტს), (ii) კეთილსინდისიერი ფლობა მართლზომიერი მფლობელობის გარეშე და (iii) არაკეთილსინდისიერი ფლობა.

მუხლი 168. ნივთის მფლობელობის შეწყვეტა
მესაკუთრის პრეტენზიის გამო ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე

მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას.

მუხლი 170 § 2 ცნება. საკუთრების უფლების შინაარსი

2. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.

მუხლი 172. §§ 1, 2 უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა

1. მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

2. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

992-1008 მუხლები, მოიცავს წესებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ანუ ეგრედ წოდებულ დელიქტურ სამართალს. კერძოდ, მაშინ როდესაც 992-ე მუხლში მოცემული ზოგადი დებულება აცხადებს, რომ ზიანის მიყენება წარმოშობს კომპენსაციის უფლებას, 1005-ე მუხლი აკონკრეტებს, რომ სახელმწიფო ორგანოებს სოლიდარულად ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა კერძო მხარეს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებით, რაც წარმოადგენდა უფლებამოსილების გადაბეჭვას.

ბ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 2005 წლის 24 ივნისამდე არსებული რედაქციით

65. ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოცემულ იქნეს ზეპირსიტყვიერად განსაკუთრებულ გარემოებებში, როდესაც გადადებამ შესაძლოა ზიანი მიყენოს სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესებს, საზოგადოებას ან კერძო პირს. თუკი ადმინისტრაციული აქტი ზღუდავს ინდივიდის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ხსენებული აქტი ხელახლა უნდა იქნეს გამოცემული უკვე წერილობითი ფორმით 3 დღის განმავლობაში.

გ) იმ დროისათვის არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

66. კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც ეხებოდა წინასწარ პატიმრობას, ჩამოყალიბებულია სასამართლოს განჩინებაში საქმეზე გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№37048/04, ECHR 2009) 35-36 და 29-41 პუნქტები (ამონარიდი)

დ. 1996 წლის 28 ივნისის კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა შესახებ

67. 1996 წლის 28 ივნისის იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონის მიღების შემდგომ კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტები აღგენენ, რომ ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და განსახლების სამინისტრო, ცენტრალური მთავრობის სხვა ორგანოებთან და ადგილობრივ ორგანოებთან ერთად არიან პასუხისმგებელნი იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ უფლებების პრაქტიკულ განხორციელებაზე, რომლებიც უზრუნველყოფილია კანონით. მე-9 მუხლი ასევე აკონკრეტებდა, რომ სახელმწიფო წარმოადგენდა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის გარანტორს. 2001 წლის 18 დეკემბერს მე-7 მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები

„2. ობიექტური და სუბიექტური საჩივრების განხილვის ორგანოების დადგენა.

3. ობიექტური საჩივრების განხილვის ორგანოების დადგენა. ობიექტური საჩივრების განხილვის ორგანოების დადგენა. ობიექტური საჩივრების განხილვის ორგანოების დადგენა.

ა) ობიექტური საჩივრების განხილვის ორგანოების დადგენა;

ბ) ობიექტური საჩივრების განხილვის ორგანოების დადგენა.

გ) ობიექტური საჩივრების განხილვის ორგანოების დადგენა.

დ) ობიექტური საჩივრების განხილვის ორგანოების დადგენა.

ზემოხსენებული სახით მე-7 მუხლი მოქმედებდა 2005 წლის 6 აპრილამდე. ხსენებულ დღეს კანონში შეტანილმა ცვლილებამ ამოიღო ზემოხსენებული დებულებები მე-7 მუხლიდან და მცირე ტექსტობრივი ცვლილებების შემდგომ გააერთიანა ისინი მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან ერთად

ე. აღსრულების შესახებ 1999 წლის 16 აპრილის კანონი (აღსრულების კანონი) საქმის მოვლენების დროისათვის არსებული რედაქციით:

68. აღსრულების შესახებ კანონის მე-4, მე-20 და 90-ე მუხლების თანახმად პირის გამოძევება მისი საცხოვრებელიდან შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე აღსრულების შესაბამისი ნორმების თანახმად და ხსენებულის განხორციელება წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს აღსრულების დეპარტამენტის კომპეტენციას.

ვ. ხინთიბიძის და სხვების საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება

69. როგორც ეს საქმიდან ჩანს რამოდენიმე უსახლკარო აფხაზეთიდან დევნილმა თბილისში 1993 წელს დაიკავეს თავისუფალი შენობები. ხსენებული დროისათვის

ეს შენობები სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და მას ფლობდა სახელმწიფო გამომცემლობა. ხსენებულ შენობებში დევნილები შესახლდნენ გამომცემლობის ხელმძღვანელობის თანხმობით მაგრამ მათ არ გააჩნდათ რაიმე სახის ფორმალური ნებართვა და ხსენებულზე არანაირი ზედამხედველობა არ ხორციელდებოდა დევნილთა სამინისტროს ან ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. შემდგომად გამომცემლობის რამოდენიმე მუშაკმა განაცხადა პრეტენზია შენობის საკუთრებაზე და შესაბამისად ხელმძღვანელობამ შეიტანა სასამართლოში სარჩელი 2000 წელს დევნილთა გამოსახლების მოთხოვნით.

საბოლოო ჯამში უზენაესმა სასამართლომ დევნილთა სასარგებლოდ გადაწყვიტა დავა და შემდგენიარად დაასაბუთა გადაწყვეტილება:

„სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება დევნილთა განსახლებასთან დაკავშირებით. ხსენებულიდან გამომდინარე მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით ისევე როგორც პრეზიდენტის 2001 წლის 25 სექტემბრის განკარგულებით, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს მიეცათ ინტრუქცია უზრუნველყოთ დევნილთა დაცვა და შესახლებისათვის ისინი თავისუფალ შენობებში ... აფხაზეთის კონფლიქტის საბოლოო დარეგულირებამდე...

საქმის გარემოებები წარმოაჩენს, რომ (შესაბამისმა დევნილებმა) სადაო შენობაში შესახლება თვითნებურად არ მოახდინეს, ... ხსენებული შენობები თავისუფალი იყო იმ დროისათვის და ხელმძღვანელობას სადაო არ გაუხდია დევნილთა უფლება შენობის ნაწილის ფლობაზე 2000 წლამდე.

ის პირობა რომელსაც სახელმწიფომ დაუქვემდებარა დევნილთათვის საცხოვრებლის უზრუნველყოფა – კონფლიქტის დარეგულირება – არ ყოფილა შესრულებული ამ მომენტამდე. ობიექტურად შეუძლებელია შესაბამისი დევნილებისათვის დაბრუნდნენ [აფხაზეთში] თავიანთ სახლებში.

საქმის მასალები ადასტურებს, რომ სადაო შენობები ...იყო და რჩება სახელმწიფო საკუთრებაში. შესაბამისად სახელმწიფოს არ შეუძლია მოსთხოვოს [შესაბამის დევნილებს] ხსენებული შენობების დატოვება მათთვის ადეკვატური ალტერნატიული საცხოვრებლის შეთავაზების გარეშე.

სახელმწიფოს ზემოხსნებული ვალდებულების გათვალისწინებით, [დევნილების] მიერ შენობების ფლობა კანონიერია სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. [შესაბამისად] მათი გამოსახლება [რაც წარმოადგენს] მათი მფლობელობის უფლების შეწყვეტას, აკრძალულია იგივე სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი პუნქტით“.

ზ. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, 1998 წლის 11 თებერვალი E/CN.4/1998/53/Add.2,

70. მე-18, 21-ე და 28-ე პრინციპების თანახმად:

პრინციპი 18

„1. ყველა იძულებით ადგილმაცვალ პირს გააჩნია ადეკვატური ცხოვრების უფლება“.

პრინციპი 21 §§ 1 და 2

1. არავის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება და მფლობელობა თვითნებურად.

2. იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკუთრება და მფლობელობა ყველა გარემოებაში უნდა იქნეს დაცული...”

პრინციპი 28 პუნქტი 1

1. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს გააჩნიათ უწინარესი პასუხისმგებლობა დაადგინონ ის პირობები და საშუალებები, რომლებიც იძულებით ადგილნაცვალ პირებს შესაძლებლობას მისცემს თავიანთი სურვილით დაბრუნდნენ მშვიდობიანად და ღირსეულად თავიანთ სახლებსა და საცხოვრებელ ადგილებზე ან თავიანთი ნებით დასახლდნენ ქვეყნის სხვა, რომელიმე ნაწილში“.

სამართალი

I. განსახილველი საქმის ფარგლები

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ, სასამართლო მოთხოვნის გარეშე გრძელი კომენტარების წარმოდგენა, მას შემდგომ რაც წარდგენილი განაცხადის შესახებ ეცნობა მთავრობას და მხარეების მიერ წარდგენილ იქნა წერილობითი კომენტარები დაშვებადობის საკითხთან და არსებით მხარესთან დაკავშირებით, არ იქნა შეტანილი საქმის მასალებში. ხსენებული კომენტარები მოიცავდა, *inter alia*, მრავალ ახალ საჩივარს, რომლებიც არ იყო დაკავშირებული კონვენციის დებულებების დარღვევასთან მიმართებაში არსებულ იმ საჩივრებთან, რომელთა შესახებაც ეცნობა მთავრობას და ეხებოდა კალაძის საქმეს, პირად კონფლიქტს განმცხადებელსა და შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრ ბ-ნ ი.ო-სთან და ფაქტების სავარაუდოდ მცდარ შეფასებას, რომელიც უკავშირდებოდა განმცხადებლის მსჯავრდებას (იხ. მე-3 და მე-5 პუნქტები).

72. სასამართლოს აზრით, რადგანაც ახალი საჩივრები არ წარმოადგენს განმცხადებლის თავდაპირველი იმ საჩივრების გაგრძელებას, რომელთა მიმართებაშიც მხარეებმა თავიანთი კომენტარები წარადგინეს, ხსენებული საკითხები არ შეიძლება განხილულ იქნეს წინამდებარე განაცხადის ფარგლებში (იხ. *Khaylo v. Ukraine*, №39964/02, §§ 53 და 54, 2008 წლის 13 ნოემბერი და *Solovey and Zozulya v. Ukraine*, №40774/02 და 4048/03, §§ 45-47, 2008 წლის 27 ნოემბერი). წინამდებარე საქმის განსახილველი გარემოებები შემოიფარგლება ორი ეპიზოდით: ა) კოტეჯის ჩამორთმევა და მის დაბრუნებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება, და ბ) პირველი განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა.

I. კოტეჯის ჩამორთმევა და მის დაბრუნებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

73. განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით. იგი ასაჩივრებდა კოტეჯიდან მისი ოჯახის დამამცირებელ და თვითნებურ გამოსახლებას 2004 წლის 1 ნოემბერს და ხსენებულის შედეგად საცხოვრებლის დაკარგვას.

74. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტზე დაყრდნობით, ცალკე აღებული და მე-13 და მე-14 მუხლებთან კავშირში, განმცხადებელი ასაჩივრებდა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს, მფლობელობის უფლების დაბრუნებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების ხანგრძლივობას და პირველი

განმცხადებლის საჩივრებზე გენერალური პროკურატურის უარს სისხლის სამართალწარმოების აღძვრასთან დაკავშირებით.

75. პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე დაყრდნობით განმცხადებლები ასაჩივრებდნენ კოტეჯის ჩამორთმევას და მოძრავი ქონების შესაბამის დაკარგვას. მეექვსე განმცხადებელი ჩიოდა, რომ 2004 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 14 მარტამდე მას ჩამორთმეული ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა მის მფლობელობაში არსებული მიწით.

ა) დაშვებადობა

1. მხარეთა არგუმენტები

76. მთავრობის მტკიცებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განმცხადებელი არასოდეს ყოფილან სადაო შიდა სამართალწარმოების მხარეები, მათი საჩივრები კონვენციის 35 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად უნდა გამოცხადებულიყო დაუშვებლად სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების არ ამოწურვის გამო.

77. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ სადაო კოტეჯი არ წარმოადგენდა განმცხადებლის საკუთრებას პირველი დამატებითი ოქმის 1 მუხლის მნიშვნელობით და შესაბამისად საჩივარი შეუსაბამო იყო *ratione materiae* პრინციპთან. რაც შეეხება განმცხადებლის მოძრავი ნივთების დაკარგვას, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს არ უნდა დაკისრებოდათ ხსენებულთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა. განმცხადებლებს შეეძლოთ დამორჩილებოდნენ ხელისუფლების ორგანოების მრავალჯერად მოთხოვნას შესაბამის დროში კოტეჯის დაცლასთან დაკავშირებით რაც მათ საშუალებას მისცემდა მშვიდობიანად წაეღოთ თავიანთი ნივთები. მთავრობამ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მეორე განმცხადებელმა შეძლო თავისი პირადი ნივთები თან წაეღო 2004 წლის 1 ნოემბერს, ხოლო დარჩენილ განმცხადებლებს შესთავაზეს რამოდენიმეჯერ დარჩენილი ნივთები წაეღოთ დაღუპული კოტეჯიდან.

78. განმცხადებლების პასუხის თანახმად ის ფაქტი, რომ მხოლოდ პირველმა განმცხადებელმა აღძრა და აწარმოა ეროვნული სამართალწარმოება საკმარისი იყო კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნების დასაკმაყოფილებლად ყველა განმცხადებელთან მიმართებაში. განმცხადებელთა მტკიცებით პირველი განმცხადებელი იყო მათი ოჯახის უფროსი, რომელმაც გააქდერა მათი პრეტენზიები და მის მიერ საკუთრების დაბრუნებასთან დაკავშირებით აღძრული სამართალწარმოების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ყველა მათგანი ისარგებლებდა ამით. განმცხადებლებმა ასევე დაამატეს, რომ მათთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ ვინ შეიტანდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით საჩივარს კოტეჯიდან მათი ოჯახის გამოსახლებასთან მიმართებაში, რადგანაც მაშინვე როგორც კი გენერალურმა პროკურატურამ შეიტყო ამ ფაქტის შესახებ ავტომატურად უნდა დაეწყო სრულყოფილი გამოძიება და ეცნო ყველა განმცხადებელი დაზარალებულად.

79. განმცხადებლებმა ასევე წარმოადგინეს პასუხი მთავრობის პრეტენზიაზე, რომელიც უკავშირდებოდა *ratione materiae* –ს დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან დაკავშირებით. მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით განმცხადებლებმა ბრალი დასდეს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებს უწყურადღებობაში. ხსენებულიდან გამომდინარე ისინი ამტკიცებდნენ, რომ როდესაც ხორციელდებოდა კოტეჯის დალუქვა, სამინისტრომ არ განახორციელა არსებული ნივთების აღწერა. განმცხადებლები ასევე ამტკიცებდნენ, რომ კოტეჯის იმ აღდგენითი სამუშაოების შედეგად, რომლებიც განხორციელდა ხელისუფლების მიერ 2005-2006 წლებში მთელი მათი მოძრავი ნივთები და საქონელი განადგურებული იქნა.

2. სასამართლოს შეფასება

ა) მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განმცხადებლის მიერ წარდგენილი საჩივარი

80. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვს მათგან ვისაც სურს სახელმწიფოს წინააღმდეგ განაცხადის წარდგენა, რომ უწინარესად გამოიყენონ სამართლებრივი დაცვის ის საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფილია ეროვნული სამართლებრივი სისტემით, მათ შორის გასაჩივრების ხელმისაწვდომი ეფექტიანი საშუალებები. საჩივრები რომელთა წარდგენაც იგეგმება სტრასბურგის სასამართლოს წინაშე, უნდა წარედგინოს პირველად ეროვნულ ორგანოებს, სულ მცირე არსებითად და იმ ფორმალური მოთხოვნების დაცვით, რომლებიც მოცემულია ეროვნულ კანონმდებლობაში. კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ასევე მოითხოვს, რომ ნებისმიერი ფორმალური მოთხოვნა, რომელსაც შეუძლია კონვენციის დარღვევის აღკვეთა გამოყენებულ უნდა იქნეს (იხ. *Cardot v. France*, 1991 წლის 19 მარტი, § 34, Series A no. 200). შესაბამისად სასამართლომ უნდა განიხილოს საქმის ყველა გარემოებიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა გააკეთეს თუ არა ყველაფერი, რაც მათ გონივრულად მოეთხოვებოდათ რათა ამოეწურათ სამართლებრივი დაცვის ყველა ეროვნული საშუალება (იხ. *Akdivar and Others v. Turkey*, 1996 წლის 16 სექტემბერი, § 69, *Reports of Judgments and Decisions* 1996-IV, და *Baumann v. France*, № 33592/96, § 40, 2001 წლის 22 მაისი).

81. სასამართლო აღნიშნავს, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განმცხადებელი არ ყოფილან გასაჩივრებული სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების მხარეები. საქმის მასალების თანახმად ხსენებულ 5 განმცხადებელს არ მიუციათ არც პირველი განმცხადებლისათვის და არც ადვოკატისათვის მინდობილობა, რათა მათ ემოქმედათ განმცხადებლების სახელით, მათ ასევე არ უცდიათ მიემართათ კომპეტენტური სასამართლო ორგანოებისათვის და საგამოძიებო ორგანოებისათვის არც ზეპირსიტყვიერად და არც წერილობით (იხ. საწინააღმდეგო დასკვნა საქმეზე *P., C. and S. v. the United Kingdom* (dec.), no. 56547/00, 2001 წლის 11 დეკემბერი). ხსენებულის ლეგიტიმურ მიზანს მაგალითად წარმოადგენდა ის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ქონების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას თავიანთი გადაწყვეტილებები შემოფარგლეს პირველი განმცხადებლის სამართლებრივი სიტუაციით და არაფერი უთქვამთ დარჩენილი 5 განმცხადებლის უფლებებთან დაკავშირებით (იხ. 23-ე პუნქტი და საწინააღმდეგოდ საქმეები *Khamidov v. Russia*,

no. 72118/01, §§ 27, 28, 48-50 და 125, ECHR 2007-XII, და *P., C. and S v. the United Kingdom*).

82. თითოეული განმცხადებლის მონაწილეობა სადაო ეროვნული სამართალწარმოებისას, ძნელად თუ შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად, რადგანაც მათი კონკრეტული ჰარემების გათვალისწინებით სავარაუდო დარღვევას არ მოუხდენია ყველა მათგანზე იგივე ზეგავლენა. ხსენებულიდან გამომდინარე მაგალითად მხოლოდ მეორე განმცხადებელი იყო სავარაუდო არასათანადო მოპყრობის პირდაპირი მსხვერპლი 2004 წლის 1 ნოემბერს განხორციელებული გამოსახლებისას (იხ. 86-ე პუნქტი ქვემოთ). გარდა ხსენებულისა მთლად ნათელი არ არის შეიძლება ითქვას თუ არა, რომ კოტეჯი წარმოადგენდა საცხოვრებელ სახლს, კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით ყველა განმცხადებლისათვის, რადგანაც ყველა მათგანი თანაბრად ახლო კავშირებს არ ინარჩუნებდა ხსენებულ საცხოვრებელთან მის ჩამორთმევამდე (იხ. მე-13 და 30-ე პუნქტები და შეადარეთ ისინი საქმეს *Zehentner v. Austria*, no. 20082/02, § 52 and 53, ECHR 2009-...). სასამართლო ასევე არ არის დარწმუნებული შეუძლია თუ არა მეექვსე განმცხადებელს პრეტენზია გამოთქვას დარღვევის მსხვერპლად ყოფნასთან დაკავშირებით. არ არის ასევე ნათელი ჩივის თუ არა იგი იმასთან დაკავშირებით, რომ მას ჰქონდა მფლობელობის უფლება კოტეჯთან და მის გარშემო არსებულ სათავსოებთან მიმართებაში, ან მისი საჩივრები შემოიფარგლება თუ არა მხოლოდ მის დაკანონებულ მიწის ნაკვეთზე შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანონო ყოფნით 2004 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 14 მარტამდე. ნებისმიერ შემთხვევაში მას არასოდეს მიუძღრთავს პრეტენზიით ეროვნული სასამართლოებისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო თვლის, რომ ეროვნული სამართალწარმოებისას თითოეული განმცხადებლის მონაწილეობა ხელს შეუწყობდა საქმესთან დაკავშირებული ფაქტებისათვის და სამართლებრივი ასპექტებისათვის სინათლის მოფენას ხელისუფლების ეროვნული ორგანოების და სტრასბურგის სასამართლოს მიერ (შეადარე საქმეს *Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, no. 62543/00, §§ 37-39, ECHR 2004-III, და *Çelikbilek v. Turkey* (dec.), no. 27693/95, 1999 წლის 22 ივნისი).

83. დარჩენილი 5 განმცხადებლის იმედს, რომ ისინი პირველი განმცხადებლის ანალოგიურად ისარგებლებდნენ წამატებული შედეგით რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა პირველი განმცხადებლის მიერ აღძრულ სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებას (იხ. 78-ე პუნქტი) სასამართლოს აზრით არ შეუძლია გაათავისუფლოს ისინი, როგორც სრულად ქმედუნარიანი ადამიანები, ერთობლივად ან პირველი განმცხადებლისაგან განცალკევებულად, ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების წარმოების ვალდებულებისაგან. მათ რომ ჰქონოდათ რეალური სურვილი, რომ დაენიშნათ პირველი განმცხადებელი თავიანთ წარმომადგენლად, ხსენებულთან დაკავშირებით შესაბამისი ქმედება იქნებოდა მისთვის შესაბამისი მინდობილობის გადაცემა და არა მის როგორც ოჯახის უფროსის სტატუსზე არაფორმალური აპელირება. ხსენებული მარტივი ფორმალობა ნათელს გახდიდა როგორც ხელისუფლების ეროვნული ორგანოებისათვის, ასევე სასამართლოსათვის, რომ კოტეჯის ჩამორთმევასთან დაკავშირებული საჩივრები წარდგენილ იყო პირველი განმცხადებლის მიერ ასევე 5 დარჩენილი განმცხადებლის სახელითაც (იხ. *Khamidov* –ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება პუნქტები). კიდევ ერთხელ უნდა იქნეს ნახსენები ამასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი უნდა მოქმედებდეს განსხვავებული ხარისხით ეროვნულ ფორმალურ

გარემოებებთან მიმართებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისევე როგორც წინამდებარე შემთხვევაში საქმე გვაქვს სამართლებრივი სიცხადის საკითხთან (იხ. მაგალითად *İlhan v. Turkey* [GC], no. 22277/93, § 53, ECHR 2000-VII, და *Agbovi v. Germany* (dec.), no. 71759/01, 2006 წლის 25 სექტემბერი).

84. ზემოხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განმცხადებელი არ შეიძლება გათავისუფლებულ იქნენ იმ მოთხოვნისაგან, რომლის თანახმადაც მათ პირველ განმცხადებელთან ერთად ან განცალკევებულად უნდა აღედრათ და ემონაწილევათ სადაო სამართალწარმოებაში. შესაბამისად მათი სხვადასხვა საჩივარი უნდა იქნეს უარყოფილი კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

ბ. პირველი განმცხადებლის საჩივრები კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან დაკავშირებით

85. კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩიოდა ღისების შემლახველ ფორმებთან დაკავშირებით, რომლითაც განხორციელდა კოტეჯიდან გამოსახლება 2004 წლის 1 ნოემბერს.

86. თუმცა როგორც ეს ნათლად ჩანს საქმის გარემოებებიდან, განმცხადებელი პირადად არ დაქვემდებარებია სავარაუდო დარღვევას, რადგანაც იგი სადაო გამოძევების დროისათვის არ იმყოფებოდა სახლში (იხ. 21-ე პუნქტი). ინციდენტის ერთადერთი პირდაპირი მსხვერპლი იყო მისი მეუღლე, მეორე განმცხადებელი, სრულად ქმედუნარიანი პირი, რომელსაც თავად შეეძლო ხსენებულთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენა და რომელმაც, როგორც ეს სასამართლომ განაცხადა, არ ამოწურა სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებები (იხ. 84-ე პუნქტი). ასეთ გარემოებებში, პირველ განმცხადებელს არ შეუძლია სამართლებრივად იყოს მეორე განმცხადებლის სავარაუდო დარღვევის ირიბი მსხვერპლი კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების გაგებით (შეადარე ზემოხსენებული *İlhan*-ის § 53, და *Çelikbilek* –ის საქმეებს).

87. ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ პირველი განმცხადებლის პრეტენზიები კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევასთან დაკავშირებით შეუსაბამოა *ratione personae* კონვენციის დებულებებთან 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.

გ) პირველი განმცხადებლის საჩივრები კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-13 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით

88. ცალკე აღებული და მე-13 და მე-14 მუხლებთან კავშირში, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტზე დაყრდნობით განმცხადებელი სადაოს ხდიდა მისთვის საკუთრების დაბრუნებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს და ამ სამართალწარმოების ხანგრძლივობას ისევე როგორც ხელისუფლების ორგანოების უარს აღედრათ სისხლის სამართალწარმოება შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული თანამდებობის პირების წინააღმდეგ.

89. რაც შეეხება ამ უკანასკნელ საჩივარს, სასამართლო იმეორებს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ უზრუნველყოფს მე-3 მხარის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების აღდგრის უფლებას (იხ. სხვა მაგალითებს შორის *Members (97) of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses v. Georgia* (dec.), no. 71156/01, 2004 წლის 6 ივლისი). ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ეს საჩივარი შეუსაბამოა *ratione materiae* კონვენციის დებულებებთან 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

90. განმცხადებლის მიერ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის საპასუხოდ, რომელიც ეხებოდა საკუთრების დაბრუნებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალები არ ამუღავნებენ ამ დებულებასთან დაკავშირებული რაიმე ცალკე აღებული საკითხის არსებობას და თვლის, რომ უფრო შესაფერისი იქნებოდა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვა კონვენციის მე-8 მუხლისა და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის ქოლგის ქვეშ (იხ. 110-118 და 122-123 პუნქტები). რაც შეეხება სამართალწარმოების ხანგრძლივობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოება გრძელდებოდა 2 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში და დაექვემდებარა განხილვას 3 სასამართლო ინსტანციის მიერ (იხ. 25-ე და 42-ე პუნქტები). ხსენებული პერიოდი, იმ ფაქტთან ერთად აღებული რომ ადგილი არ ჰქონია ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უმოქმედობის მნიშვნელოვან პერიოდებს, არ შეიძლება წარმოადგენდეს „გონივრული ვადის“ მოთხოვნის დარღვევას და შესაბამისად არ არღვევს ზემოხსენებულ დებულებას (იხ. მაგალითად *Zhurba v. Ukraine* (dec.), no. 11215/03, 2007 წლის 19 ივნისი).

91. ბოლოს, ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით, და კომპეტენციის შიგნით არსებულ საკითხებთან დაკავშირებით, სასამართლო ადგენს, რომ არანაირი საკითხი არ ყოფილა წამოჭრილი კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლებთან დაკავშირებით.

92. ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ განმცხადებლის საჩივრები ეროვნულ დონეზე ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან, მე-13 და მე-14 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით აშკარად დაუსაბუთებლად უნდა იქნეს მიჩნეული და უარყოფილ იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

დ) განმცხადებლის საჩივრები კონვენციის მე-8 მუხლისა და დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

93. პირველი განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-8 მუხლის და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და ასაჩივრებდა კოტჯჯის ჩამორთმევას, რომელიც წარმოადგენდა მის საცხოვრებელს. იგი ასევე ჩიოდა, ამ უკანასკნელ დებულებაზე დაყრდნობით, რომ მან განიცადა პირადი და საოჯახო ნივთების ჩამორთმევა.

(i) მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით

94. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აღძრა პირველმა განმცხადებელმა წინამდებარე სამეში, მიზნად ისახავდა მხოლოდ კოტეჯის, როგორც ასეთის, და უძრავი ქონების უკან დაბრუნებას, მფლობელობასთან დაკავშირებული იმ წესების შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფილია სამოქალაქო კოდექსით და დევნილებთან დაკავშირებული კანონმდებლობაში მოცემული საცხოვრებლის გარანტიებით (იხ. 25-26 პუნქტები, 36-ე და 43-ე პუნქტები).

95. თუმცა, არც სამართალწარმოების განმავლობაში და არც ცალკე სამართალწარმოების აღძვრის გზით, რაც უფრო შესაბამის იქნებოდა, განმცხადებელს არ მოუთხოვია კომპენსაცია სავარაუდოდ დაკარგულ პირად და საოჯახო და სხვა მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით. პირველი განმცხადებლის მიერ ხსენებულთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ რადგანაც განმცხადებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებებს აბრალებდა მოძრავი ნივთების დაკარგვას (იხ. 79-ე პუნქტი), მას უნდა ეჩივლა სამინისტროსათვის იმ ზიანისათვის, რომელიც მას სავარაუდოდ მიადგა, სამოქალაქო კოდექსში არსებული დელიქტური ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებული დებულებების შესაბამისად, კერძოდ კი 992-1005 მუხლების შესაბამისად (იხ. 64-ე პუნქტი).

96. რადგანაც სამართლებრივი დაცვის ხსენებული საშუალება არასოდეს ყოფილა გამოყენებული, ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ პირველი განმცხადებლის საჩივარი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდოდ დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულ იქნა მოძრავი ქონების დაკარგვის შედეგად, უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, რადგანაც არ ყოფილა ამოწურული სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

(ii) კოტეჯის ჩამორთმევასთან დაკავშირებით

97. სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ საკითხის განხილვისას წარმოადგენს თუ არა კოტეჯი პირველი განმცხადებლის „საკუთრებას“ დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით, მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ფაქტობრივი ასევე სამართლებრივი კუთხით. შესაბამისად, მთავრობის პრეტენზია ხსენებულთან დაკავშირებით (იხ. 77-ე პუნქტი) განხილულ უნდა იქნეს საქმის არსებით მხარესთან ერთად.

98. სასამართლო ასკვნის, რომ პირველი განმცხადებლის საჩივრები კონვენციის მე-8 მუხლთან და დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან დაკავშირებით რაც გამოწვეულ იქნა კოტეჯის ჩამორთმევით, არ არის არც აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით და არ უნდა იქნეს გამოცხადებული დაუშვებლად არც სხვა საფუძვლებით. შესაბამისად ისინი არსებით განხილვაზე დაშვებულად უნდა იქნეს გამოცხადებული.

ბ. არსებითი განხილვა

1. დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდოდ დარღვევა

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“

ა) მხარეთა არგუმენტები

100. მთავრობამ აღნიშნა, რომ პირველ განმცხადებელს არასოდეს დაურეგისტრირებია საკუთრების უფლება, არც კანონის შესაბამის პროცედურების დაკმაყოფილების და არც სასამართლო ბრძანების შემდგომ, იმ კოტეჯთან მიმართებაში, რომელიც წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრებას. მთავრობის მტკიცებით განმცხადებელს არ შეეძლო ყოფილიყო ქონების კეთილსინდისიერი მფლობელიც სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად იმავე მიზეზების გამო, რაც აღნიშნეს ეროვნულმა სასამართლოებმა. მთავრობამ გაიმეორა, რომ სამინისტროს 2000 წლის 20 აპრილის წერილი არ შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა განმცხადებლის მიერ კოტეჯის მართლზომიერ მფლობელობას, რადგანაც პრეზიდენტის 1997 წლის 8 სექტემბრის განკარგულებით მხოლოდ ქონების მართვის სამინისტროს გააჩნდა იმის უფლებამოსილება, რომ განეკარგა სახელმწიფო ქონება. განმცხადებლის სიტუაციასთან მიმართებაში არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო დევნილთა შესახებ კანონმდებლობაც, რადგანაც სადაო კოტეჯი არ გადასცემია პირველ განმცხადებელს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ. შესაბამისად მთავრობა ასკვნიდა, რომ პირველმა განმცხადებელმა თვითნებურად დაიკავა კოტეჯი და მის მიერ ამ კოტეჯის შემდგომი ფლობა არაკეთილსინდისიერად ხდებოდა.

101. იმ შემთხვევაშიც კი თუ სასამართლო ჩათვლიდა, რომ სადაო კოტეჯი ხვდებოდა დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დაცვის სფეროში, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ჩარევა მაინც გამართლებული იყო. ამგვარად, რადგანაც კოტეჯი და მისი შემოგარენი მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სტრატეგიულ ობიექტს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, ამ უკანასკნელს, როგორც ნამდვილ მესაკუთრეს, სრული უფლება ჰქონდა უკან გამოეთხოვა თავისი საკუთრება არამართლზომიერი მფლობელობიდან სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლის შესაბამისად. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ რადგანაც პირველი განმცხადებელი მაშინდელი მინისტრის ზეპირსიტყვიერი გადაწყვეტილების საფუძველზე შესახლდა კოტეჯში განუსაზღვრელი ვადით სამინისტროს შეეძლო უკან გამოეთხოვა თავისი საკუთრება ნებისმიერ დროს როდესაც მას ეს მოესურვებოდა და ანალოგიური ზეპირსიტყვიერი გადაწყვეტილების საფუძველზე. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ კოტეჯის ჩამორთმევა არ გამხდარა მოულოდნელი პირველი განმცხადებლისათვის, რადგანაც 2004 წლის 1 ნოემბრამდე მას რამოდენიმეჯერ შესთავაზეს ბინის დაცლა. და ბოლოს, მთავრობა ამტკიცებდა, რომ რადგანაც ეროვნულმა სასამართლოებმა დაადასტურეს მინისტრის ქმედებების კანონიერება, სტრასბურგის სასამართლოს აღარ უნდა ემსჯელა არსებითად ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

102. პირველმა განმცხადებელმა მთავრობას უპასუხა, რომ იგი კეთილსინდისიერად ფლობდა საკუთრებას, რადგანაც მას ეს საკუთრება თავად სამინისტრომ გადასცა. მნიშვნელოვანი მტკიცებულებები ადასტურებდა ხსენებულ ფაქტს: მოპასუხე სამინისტროს წერილობითი კომენტარები, რომლებიც წარედგინა ეროვნულ სასამართლოებს, შესაბამისი თანამდებობის პირების ზეპირი და წერილობითი განცხადებები ისევე როგორც მთავრობის მიერ სტრასბურგის სასამართლოს წინაშე წარდგენილი კომენტარები. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი თუ მივიჩნევთ, რომ კოტეჯის ფლობა არ იყო კეთილსინდისიერი, სამინისტროს არ გააჩნდა უფლება ჩამოერთმია იგი შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. არ შეიძლება ასევე ითქვას, რომ ჩარევა ემსახურებოდა საჯარო ინტერესებს, რადგანაც მოპასუხე მთავრობას არ დაუდასტურებია კანონიერი მიზნის არსებობა. ხსენებულიდან გამომდინარე მთავრობის არგუმენტი, რომ ჩვეულებრივი საცხოვრებელი კოტეჯი წარმოადგენდა სტრატეგიულ ობიექტს გაუგებარი და დაუსაბუთებელი იყო.

ბ) სასამართლოს შეფასება

(i) იყო თუ არა საკუთრება

103. სასამართლო იმეორებს, რომ დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლში მოცემული საკუთრების კონცეპციას გააჩნია ავტონომიური მნიშვნელობა, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური ნივთების ფლობით და არ ექვემდებარება ეროვნული სამართლით დადგენილ საკუთრების ფორმალურ კლასიფიკაციას: წინამდებარე საქმეში განსახილველ საკითხს წარმოადგენს არსებული გარემოებები, მთლიანობაში აღებული, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ განმცხადებელს ანიჭებდა უფლებას იმ ღირებულ ინტერესზე, რომელიც დაცულია დამატებითი ოქმის ამ დებულებით (იხ. *mutatis mutandis*, *Zwierzynski v. Poland*, no. 34049/96, § 63, ECHR 2001-VI). შესაბამისად, ისევე როგორც ფიზიკური ნივთები, კონკრეტული უფლებები და ინტერესები ასევე წარმოადგენს ფასეულობას და შეიძლება ჩაითვალოს საკუთრებად ხსენებული დებულების მიზნებიდან გამომდინარე (იხ. *Iatridis v. Greece* [GC], no. 31107/96, § 54, ECHR 1999-II, და *Beyeler v. Italy* [GC], no. 33202/96, § 100, ECHR 2000-I). „საკუთრების“ კონცეპცია არ შემოიფარგლება „ხელთ არსებული საკუთრებით“ არამედ ასევე შეიძლება მოიცავდეს ფასეულობებს, მათ შორის პრეტენზიებს, რომელთან მიმართებაშიც განმცხადებელს შეუძლია ამტკიცოს, რომ მას გააჩნია სულ მცირე გონივრული და „კანონიერი მოლოდინი“ რომ ეფექტიანად ისარგებლებს საკუთრების უფლებით (მაგალითისათვის იხ. *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], no. 42527/98, § 83, ECHR 2001-VIII). „მოლოდინი“ „კანონიერად“ ჩაითვლება თუკი ეს უკანასკნელი ეფუძნება კანონის დებულებას ან სამართლებრივ აქტს, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინტერესს (იხ. *Kopecký v. Slovakia* [GC], no. 44912/98, §§ 45-52, ECHR 2004-IX).

104. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი განმცხადებელი თავის ოჯახთან ერთად კოტეჯში შესახლდა 1994 წლის იანვარში. იგი მხოლოდ საკუთარი სურვილით არ შესახლებულა კოტეჯში: საცხოვრებელი მას შესთავაზა მისმა დამსაქმებელმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ხსენებული ფაქტი ნათლად არის

დადასტურებული საქმის გარემოებებით (იხ. მაგალითად მე-19, 29-ე, 32-33 და 49-ე პუნქტები).

105. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ შეუძლია დაეყრდნოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 სექტემბრის განკარგულებას და 1996 წლის 28 ივნისის კანონს იძულებით გადაადგილებულ/დევნილ პირთა შესახებ, რათა ამტკიცოს, რომ მხოლოდ ქონების მართვის სამინისტრო ან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო იყო კომპეტენტური, რომ შეესახლებინა პირველი განმცხადებელი კოტეჯში 1993 წლის იანვარში, რადგანაც ხსენებული შესახლება განხორციელდა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტების მიღებამდე. სასამართლო აღნიშნავს, რომ მინისტრის 1993 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება, რომელიც ნათლად აღნიშნავდა, რომ სამინისტრო უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა კოტეჯი აფხაზეთიდან დევნილი თავისი თანამშრომლების შესახლებლად, სწორედ იმ სიტუაციას ეხებოდა, რომელშიც განმცხადებელი აღმოჩნდა კონფლიქტის შემდგომ (იხ. მე-9 და 38-ე პუნქტები). თუმცა იმ შემთხვევაშიც კი თუ მივიჩნევთ, რომ არსებობდა პირველი განმცხადებლისათვის კოტეჯის გადაცემის უფრო შესაბამისი ფორმალური პროცედურა, რაც წარმოადგენდა ზოგადი ხასიათის კერძო სამართლებრივ ურთიერთობას და არ ეხებოდა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს, სამინისტროს მხრიდან დაშვებული ხსენებული ლაფსუსი არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს პირველ განმცხადებელს ან საფუძვლად დაედოს იმ დასკვნის გამოტანას, რომ განმცხადებელი კოტეჯში შესახლდა თვითნებურად (იხ. *Stretch v. the United Kingdom*, no. 44277/98, §§ 34, 39 და 40, 2003 წლის 24 ივნისი). ხსენებულ საკითხთან მიმართებაში ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ კონტექსტს, რომელშიც განვითარდა წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამგვარად სასამართლო იზიარებს პირველი განმცხადებლის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში 1993-94 წლებში განვითარებული ჰუმანიტარული კრიზისის ფონზე, მაშინ როდესაც აფხაზეთიდან დევნილ 300 000 ადამიანს ცენტრალური მთავრობის მხრიდან ესაჭიროებოდა დაუყოვნებლივ თავშესაფარის მიცემა, ძნელად რეალისტური თუ იქნებოდა ხელისუფლების ორგანოებისაგან იმის მოლოდინი, რომ ისინი სკრუპულოზურად დაცავდნენ ადმინისტრაციულ ფორმალობებს საცხოვრებლის გამოყოფასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში.

106. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ კოტეჯის განგრძობად ფლობას, სასამართლო თვლის, რომ ხსენებული ატარებდა კეთილსინდისიერ ხასიათს - თუნდაც იმის ფონზე, რომ საკუთრების უფლება არ იყო რეგისტრირებული - შემდეგი მიზეზების გამო. სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, ხსენებულთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოხატული შემწყნარებლობა პირველი განმცხადებლის მიერ კოტეჯით და მის გარშემო არსებული მიწით 10 წლის განმავლობაში მუდმივ და ღია სარგებლობასთან დაკავშირებით. ამგვარად ხსენებული პერიოდის განმავლობაში პირველმა განმცხადებელმა დაამონტაჟა და მოაწყო სხვადასხვა სახი მოწყობილობები, დარგო ხეები და ბოსტნეული, მოაშენა შინაური ფრინველები და მცირე ოდენობის საქონელი; მან ასევე შეძლო შეეფარებინა 8 დევნილი ნათესავი, სახელმწიფოსაგან დამატებითი ნებართვის მოპოვების გარეშე; სახელმწიფოს არასოდეს განუცხადებია პრეტენზია პირველი განმცხადებლის მიერ შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ და ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებით (იხ. *Öneryıldız v. Turkey* [GC], no. 48939/99, §§ 105, 106 და 127,

ECHR 2004-XII; *Stretch*-ის ზემოხსენებული საქმე, § 34; *Doğan and Others v. Turkey*, nos. 8803-8811/02, 8813/02 და 8815-8819/02, § 139, ECHR 2004-VI (ამონარიდები); *Matos e Silva, Lda., and Others v. Portugal*, 1996 წლის 16 სექტემბერი, § 72, *Reports* 1996-IV).

107. სასამართლო ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ სამინისტროს მიერ განმცხადებლისათვის დროებითი საცხოვრებლის სახით კოტეჯის გადაცემის შემდგომ სახელმწიფომ მრავალი სამართლებრივი აქტის მიღებით, დაადასტურა დევნილთა უფლებები საცხოვრებლის სექტორში და დაადგინა მნიშვნელოვანი გარანტიები მათ დასაცავად (იხ. 39-ე, 67-ე და 69-ე პუნქტები). ხსენებული გარანტიებიდან ყველაზე თვალსაჩინოა კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა შესახებ, რომელმაც აღიარა, რომ დევნილთა მიერ საცხოვრებლის კეთილსინდისიერად ფლობა წარმოადგენდა ქონებრივი ხასიათის უფლებას. ამგვარად შეუძლებელი იყო დევნილის გამოძევება მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მის მიერ დაკავებული საცხოვრებელიდან თუკი მას არ შესთავაზებდნენ ანალოგიურ საცხოვრებელს ან შესაბამის ფულად კომპენსაციას. თავის 2001 წლის 28 ნოემბრის განჩინებაში ხინთიბიძის და სხვების საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ დევნილთა დროებითი საცხოვრებელი იმ შემთხვევაშიც კი როდესაც პირს არ აქვს დაკანონებული საკუთრების უფლება მასზე, წარმოადგენდა იმ ღირებულებას, რომელიც დაცული იყო სამოქალაქო კოდექსში მფლობელობასთან დაკავშირებული გარანტიებით (იხ. 69-ე პუნქტი).

108. ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი მოსაზრებების გათვალისწინებით და წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებების მთლიანობაში მხედველობაში მიღებით, სასამართლო ასკვნის, რომ პირველ განმცხადებელს ჰქონდა უფლება საცხოვრებლად გამოეყენებინა კოტეჯი და ხსენებული უფლება იყო მატერიალური ხასიათის. შესაბამისად ხსენებული უფლება უნდა ჩაითვალოს „ქონებად“ დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის გაგებით (იხ. *Minasyan and Semerjyan v. Armenia*, no. 27651/05, § 56, 2009 წლის 23 ივნისი).

(ii) ადგილი ჰქონდა თუ არა ჩარევას

109. მხარეთა შორის სადაო არ გამხდარა, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით (იხ. 101-ე და 102-ე პუნქტები და სასამართლოც თვლის, რომ გასაჩივრებული სიტუაცია მან უნდა განიხილოს დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლში მოცემული ზოგადი წესების შესაბამისად (იხ. მაგალითად *Beyeler* ის ზემოხსენებული საქმე 106-ე პუნქტი).

(iii) გამართლებული იყო თუ არა ჩარევა

110. იმისათვის, რომ ჩარევა შესაბამისობაში იყოს დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ჩარევა განხორციელებული უნდა იყოს კანონის შესაბამისად, ემსახურებოდეს საჯარო ინტერესებს და განსახორციელებელი მიზნის პროპორციული უნდა იყოს (იხ. მაგალითად *Beyeler* ის ზემოხსენებული საქმე 108-ე და 111-ე პუნქტები).

111. სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც სამოქალაქო კოდექსის (მუხლი 172§ 2) ასევე დევნილთა შესახებ კანონის (მუხლი 7§3) თანახმად ერთადერთი კანონიერი გზა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, რათა მას განმცხადებლისაგან უკან მოეთხოვა კოტეჯი იყო შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სამართალწარმოების აღძვრა სასამართლოში. სწორედ ამ გზით იმოქმედა სამთავრობო ორგანომ ანალოგიურ ხინთიბიძის და სხვების საქმეზე (იხ. 69-ე პუნქტი). აღსრულების კანონის თანახმად მხოლოდ მას შემდგომ როდესაც პირველ განმცხადებელს სასამართლო ჩამოართმევდა კოტეჯს, იყო შესაძლებელი გამოსახლებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების, როგორც აღსრულების ღონისძიების ნაწილის, განხორციელება პირველი განმცხადებლის საწინააღმდეგოდ (იხ. 68-ე პუნქტი).

112. თუმცა წინამდებარე საქმეში გამოსახლება და ჩამორთმევა განხორციელდა ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. ხსენებულის საწინააღმდეგოდ მთავრობა უთითებდა შინაგან საქმეთა მინისტრის ზეპირსიტყვიერ ბრძანებაზე. პირველ რიგში სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოცემულ იქნეს ზეპირსიტყვიერად მხოლოდ გამოწვევის გარემოებებში, როდესაც მყისიერი საფრთხე ემუქრება საჯარო ინტერესებს ან სხვათა უფლებებს. სასამართლოს არ შეუძლია გაიგოს მას შემდგომ რაც პირველი განმცხადებელი თავის ოჯახთან ერთად მშვიდობიანად ცხოვრობდა 10 წელზე მეტ ხანს, რატომ გახდა ასე უცებ მისი იქ ცხოვრება ასეთი მწვავე საკითხი. უფრო მეტიც, მინისტრს უნდა გამოეცა თავისი ბრძანება წერილობით 3 დრის განმავლობაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად; ხოლო წინამდებარე საქმეში კი მინისტრს ხსენებული არ განუხორციელებია. როგორც არ უნდა იყოს, მინისტრის ბრძანების ფორმა მხოლოდ მეორე ხარისხოვანია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის ის ფაქტი, რომ სამინისტრომ განმცხადებელს კოტეჯი ჩამოართვა სასამართლო ბრძანების გარეშე, რომელიც მოპოვებული უნდა ყოფილიყო შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სამართალწარმოების შედეგად.

113. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა *ex post facto* დაადასტურეს პირველი განმცხადებლისათვის კოტეჯის ჩამორთმევა და გამოსახლება, ზემოხსენებული დასკვნების გათვალისწინებით სასამართლო იმეორებს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული ასეთი სამართალწარმოება, იმისათვის, რათა იგი წარმოადგენდეს ეფექტიან პროცესუალურ გარანტიას თვითნებობის საწინააღმდეგოდ, წინ უნდა უსწრებდეს ჩარევას, რაც ასეც იყო გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით (იხ. *mutatis mutandis*, *Hentrich v. France*, 1994 წლის 22 სექტემბერი, §§ 41, 42, 45 და 46, Series A no. 296-A). უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საქმე ეხება კონვენციით ან მისი ოქმებით დაცულ უფლებებს, სასამართლო არ არის შეზღუდული მხოლოდ იმ დასკვნებით, რომლებიც გამოაქვთ ეროვნულ სასამართლოებს და სტრასბურგის სასამართლოს შეუძლია განსხვავებული მოსაზრება დააფიქსიროს ან ჩაანაცვლოს ისინი თავისი მოსაზრებით, როდესაც ხსენებული გარდაუვალია ხოლმე კონკრეტული საქმის გარემოებებით (ბევრ სხვა მაგალითს შორის იხ. *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01, § 171, ECHR 2004-II; *Bruncrona v. Finland*, no. 41673/98, § 75, 16 November 2004; *J.A. Pye (Oxford) Ltd and J.A. Pye (Oxford)*

Land Ltd v. the United Kingdom [GC], no. 44302/02, § 75, ECHR 2007-X; *Khamidov* ის ზემოხსენებული საქმე, § 135; *Matyar v. Turkey*, no. 23423/94, § 108, 2002 წლის 21 თებერვალი).

114. კერძოდ სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაბამისმა ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაადასტურეს, რომ პირველმა განმცხადებელმა კეთილსინდისიერად მოიპოვა კოტეჯი, განგრძობითად ფლობდა მას 10 წლის განმავლობაში და ხსენებულთან დაკავშირებით სახელმწიფოს არ გამოუთქვამს მის მიმართ არანაირი პრეტენზია, ხსენებული ფაქტი კი დადასტურებულია საქმის მასალებით (იხ. ზემოხსენებული დასკვნები 104-107 პუნქტები). ეროვნულ სასამართლოებს ასევე გამორჩათ მხედველობიდან ის ფაქტი, რომ განმცხადებლისათვის ქონების ჩამორთმევა და მისი გამოსახლება განხორციელდა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით (იხ. ზემოხსენებული დასკვნები 111-112 პუნქტები). როგორც ეს აღნიშნულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების მიერ სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოებისას, ხსენებულის აღიარება აუცილებლად და გარდაუვლად გამოიწვევდა განმცხადებლის უფლების აღიარებას უკან დაებრუნებინა მფლობელობა სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის შესაბამისად (26-ე, 37-ე და 44-ე პუნქტები).

115. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ უზრუნველყვეს განმცხადებელი, რათა მას ესარგებლა დევნილთა შესახებ კანონმდებლობით დადგენილი გარანტიებით. კერძოდ უზენაესმა სასამართლომ 2006 წლის 27 სექტემბრის თავის საბოლოო გადაწყვეტილებაში ჩაწერა, რომ პირველ განმცხადებელს არ შეეძლო ესარგებლა დევნილთა შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული და საცხოვრებელთან დაკავშირებული გარანტიებით, რადგანაც კოტეჯში იგი არ შეუსახლება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ანუ იმ ორგანოს, რომელიც პირდაპირ იყო პასუხისმგებელი ასეთ საკითხებზე (იხ. 43-ე პუნქტი). სასამართლო წუხილს გამოთქვამს დევნილთა შესახებ კანონმდებლობის ამ ფორმალისტურ განმარტებასთან დაკავშირებით მაშინ როდესაც ხსენებულის საწინააღმდეგოდ, კანონმდებლობის სულისკვეთება გამსჭვალული იყო დევნილთა უფლებების და მათ შორის საცხოვრებლის უფლების განმტკიცებით მთლიანად სახელმწიფოსთან და არა რომელიმე ცალკეული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსთან მიმართებაში. ნათელია, რომ დევნილთა შესახებ კანონმდებლობის მიღებით საქართველოს სახელმწიფო მიზნად ისახავდა მაქსიმალურად შეემუბუნებინა უსახლკარო და უსუსური დევნილების მდგომარეობა. ხსენებული საქმეები ვალდებულება რომელიც სხვათა შორის შესაბამისობაში იძულებით ადგილნაცვალ პირთა შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებთან (იხ. 67-ე და 70-ე პუნქტები, იხ. ასევე ზემოხსენებული *Doğan and Others* ის საქმე § 154). ხსენებულთან მიმართებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც სამხედრო კონფლიქტების შედეგად გამოსცადეს მოსახლეობის მასიური მიგრაცია, უცხო არ არის იმ დევნილებისა და ლტოლვილებისათვის ანალოგიური საცხოვრებელი გარანტიების შექმნა, რომლებიც დროებით იქნენ უზრუნველყოფილნი საცხოვრებლით (იხ. *Radanović v. Croatia*, no. 9056/02, §§ 27, 29, 45-46 და 49, 2006 წლის 21 დეკემბერი, და *Akimova v. Azerbaijan*, no. 19853/03, §§ 21-25 და 47-48, 2007 წლის 27 სექტემბერი).

116. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს პოზიცია პირველი განმცხადებლის სიტუაციასთან დაკავშირებით, წინააღმდეგობაში მოდის თავისთავად 2001 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებასთან ანალოგიურ ხინთიბიძე და სხვების საქმეზე. ამ უკანასკნელ საქმეში უზენაესმა სასამართლომ აუკრძალა ხელისუფლების ორგანოს ჩამოერთვა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი დევენილებისათვის, რომლებმაც პირველი განმცხადებლის მსგავსად დაიკავეს ეს საცხოვრებელი 1993 წელს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსაგან რაიმე სახის ნებართვის გარეშე (დამატებითი დეტალებისათვის იხ. 69-ე პუნქტი). სასამართლო იმეორებს, რომ როდესაც ასეთი აშკარა საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები მომდინარეობს ერთი და იგივე სასამართლოდან და განსხვავებულ მიდგომასთან დაკავშირებით არანაირი გონივრული ახსნა განმარტება არ ახლავს მას თან, ასეთი გადაწყვეტილება თვითნებურად უნდა ჩაითვალოს (იხ. *Beian v. Romania (no. 1)*, no. 30658/05, §§ 37-40, ECHR 2007-XIII (extracts); *Vinčić and Others v. Serbia*, nos. 44698/06, 44700/06, etc., § 56, 2009 წლის 1 დეკემბერი; *Tudor Tudor v. Romania*, no. 21911/03, § 29, 2009 წლის 24 მარტი).

117. ზემოხსენებული დასკვნებიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ პირველი განმცხადებლის მიერ მისი ქონების მშვიდობიანად გამოყენებაში ჩარევა არ იყო კანონიერი, რადგანაც შემდგომად წარმართული სასამართლო განხილვა იყო თვითნებური და წარმოადგენდა მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას. ხსენებული დასკვნა უსარგებლოს ხდის იმაზე მსჯელობას ემსახურებოდა თუ არა ჩარევა კანონიერ მიზანს და თუკი ემსახურებოდა დაცული იყო თუ არა სამართლიანი ბალანსი ჩარევისას (იხ. *Akimova*, -ს ზემოხსენებული საქმე, §§ 39-51, 2007 წლის 27 სექტემბერი, და *Khamidov*-ის ზემოხსენებული საქმე, §§ 141-145).

118. შესაბამისად ადგილი ჰქონდა პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

2. კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა

119. კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად

მუხლი 8

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის ...საცხოვრებელს...

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

120. მთავრობა უარყოფდა, რომ ადგილი ჰქონდა ხსენებული დებულების რაიმე სახის დარღვევას იმავე საფუძვლებით რა არგუმენტაციაც იქნა წარმოდგენილი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან მიმართებაში. სასამართლოს

გადაწყვეტილებაზე *Chapman v. the United Kingdom* ([GC], no. 27238/95, § 99, ECHR 2001-I) დაყრდნობით მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ უზრუნველყოფს საცხოვრებელი უზრუნველყოფის უფლებას.

121. განმცხადებელი არ დაეთანხმა ხსენებულ არგუმენტაციას.

122. სასამართლო ყოყმანის გარეშე აღგენს, რომ კოტეჯის ჩამორთმევა, რომელიც პირველი განმცხადებლისათვის წარმოადგენდა საცხოვრებელს 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გარდა იმისა რომ წარმოადგენს დამტებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას, ასევე წარმოადგენს განმცხადებლის საცხოვრებლის პატივისცემის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას (იხ. *Khamidov*-ის ზემოხსენებული საქმე, §§ 119-146, და *Doğan and Others* ის ზემოხსენებული საქმე § 159).

123. შესაბამისად სასამართლო აღგენს, რომ აღგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

III. პირველი განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა

124. პირველი განმცხადებელი, თავის ვრცელ კომენტარებში ჩიოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1(c), მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების და მე-13 მუხლის დარღვევის შესახებ, მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის გამო. სახელდობრ, იგი აცხადებდა, რომ მისი დაკავება უკანონოდ მოხდა, რადგან არ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გადაწყვეტილება, რომელმაც დააკანონა მისი დაკავება, არასაკმარისად იყო დასაბუთებული და 2006 წლის 14 და 29 ივნისს გამართული სასამართლო განხილვები არასამართლიანი იყო. იშველიებდა რა კონვენციის მე-10 მუხლს, იგი ასევე აცხადებდა, რომ წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს *კაღადის* საქმეზე დამოუკიდებელი და პროფესიული გამოძიების წარმოების გამო.

A. დაშვებადობა

1. კონვენციის მე-5 მუხლის 1(c) პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივარი

125. პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი არ უნდა დაეპატიმრებინათ, რადგან მისი სისხლის სამართლის საქმე არ შეიცავდა საკმარის მტკიცებულებებს კონვენციის მე-5 მუხლის 1(c) პუნქტის შესაბამისად „გონივრული ეჭვის“ დასაბუთებლად. სახელდობრ, მისი კოტეჯის

ჩხრეკასთან დაკავშირებულ შესაბამისი გარემოებებზე დაყრდნობით, იგი ამტკიცებდა, რომ ამგვარი ჩხრეკის შედეგები საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენდა.

126. სასამართლო აღნიშნავს, რომ „გონივრული ეჭვი“ გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომლებიც ობიექტურ დამკვირვებელს საკმარისად მიაჩნია, რომ ირწმუნოს, რომ შესაბამის პირს შესაძლოა ჩაედინა დანაშაული (იხ. *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*, 30 აგვისტო 1990წ., §32, სერია A, №182). უფრო მეტიც, აუცილებელი არაა ის ფაქტები, რომლებიც ეჭვს აღძრავენ, სარწმუნოების იგივე ხარისხის მატარებელი იყოს, როგორც მსჯავრდების დასასაბუთებლად ან თუნდაც ბრალის წასაყენებლად საჭირო ფაქტები, რომლებიც სისხლის სამართალწარმოების შემდგომ საფეხურზე ხდება ხოლმე წარმოჩენილი (იხ. *Murray v. the United Kingdom*, 28 ოქტომბერი 1994წ., §55, სერია A, № 300-A).

127. სასამართლო აღნიშნავს, რომ ცეცხლსასროლი იარაღისა და საიდუმლო დოკუმენტაციის არაკანონიერად შენახვის შესახებ ეპიზოდი შედეგი იყო განმცხადებლის კოტეჯის ჩხრეკისა, რომლის კანონიერებაზეც მოგვიანებით სასამართლომ გულდასმით იმსჯელა (იხ. ზევით პუნქტი 55). თუმცა, ამ მტკიცებულების კითხვის ნიშნის ქვეშ დასაყენებლად საჭირო საფუძვლები რომც არსებულიყო, სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი განმცხადებელი მხოლოდ ამ მტკიცებულების ნიადაგზე არ დაუკავებიათ (იხ. ზევით პუნქტი. 54). მისი დაკავება და წინასწარ პატიმრობაში მოთავსება უფრო მეტად მეორე ეპიზოდს ეფუძნებოდა, რომელიც უკავშირდებოდა მტკიცებულების გაყალბებას, არასათანადო მოპყრობასა და საჯარო სამსახურში სხვა სახის უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს. მეორე ეპიზოდი ეფუძნებოდა მოწმის ბრალდებებს, ისევე როგორც გენერალური პროკურატურის მიერ *კალაძის* საქმის გამოძიების პროცესში მოპოვებულ სხვა შესაბამის ინფორმაციას (იხ. პუნქტები 56-57). საქმის შესაბამისი მასალების სათანადო შესწავლის შემდეგ, სასამართლო მიიჩნევს, რომ სულ მცირე მეორე ეპიზოდში, საკმარისი ინფორმაცია არსებობდა ობიექტური დამკვირვებლის დასარწმუნებლად, რომ განსახილველი დანაშაულები საჯარო სამსახურში ჩადენილ იქნა, და სწორედ მათი ჩადენის ეჭვის გამო იქნა პირველი განმცხადებელი პატიმრობაში აყვანილი (შეადარეთ საქმეს *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia* (დეკ.), № 1704/06, 27 ივნისი 2007, და *Galushvili v. Georgia*, № 40008/04, § 33-34, 17 ივლისი 2008).

128. შესაბამისად კონვენციის მე-5 მუხლის §1(ც)-ს თანახმად შეტანილი განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

2. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივარი

129. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი განმცხადებლის საჩივრები შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებებში სათანადო დასაბუთების არარსებობის და 2006 წლის 14 და 29 ივნისს გამართული სასამართლო განხილვების არასამართლიანობის შესახებ, რომლებიც ხდება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების ფარგლებში, აშკარად დაუსაბუთებელი არაა კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ისინი დაუშვებლად არ უნდა იქნეს მიჩნეული არცერთი სხვა საფუძველით. შესაბამისად, ეს საჩივრები დაშვებულ უნდა იქნეს არსებით განხილვაზე.

3. დანარჩენი საჩივრები

130. რამდენადაც კონვენციის მე-5 მუხლი *lex specialis* გამოიყენება პატიმრობასთან მიმართებაში, საჭირო არაა იგივე საკითხის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებისა და მე-13 მუხლის ჭრილში განხილვა (იხ. *ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ*, №30779/04, §92, 6 ნოემბერი, 2007, და *რამიშვილი და კოხრეიძე*, იხ. ზევით).

131. რაც შეეხება კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე წარდგენილ საჩივარს, სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი აშკარად დაუსაბუთებელია.

132. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, მე-10 და მე-13 მუხლების დარღვევის შესახებ შეტანილი საჩივრები აშკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

ბ. არსებითი განხილვა

1. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

133. პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ 2006 წლის 6, 14 და 29 ივნისის ბრძანებები, რომელთა თანახმადაც მოხდა მისი წინასწარ პატიმრობაში მოთავსება, არ იყო საკმარისად დასაბუთებული. ამ ბრძანებებში გამოყენებულ იქნა წინასწარ შემუშავებული ნიმუშიდან ამოღებული ფრაზები ისევე როგორც გატანილ იქნა მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისათვის პროკურორის მიერ წარდგენილი შუამდგომლობიდან ამოღებული ფრაზები და საქმის კონკრეტული გარემოებები მხედველობაში არ ყოფილა მიღებული.

134. მთავრობა არ დაეთანხმა განცხადებლის არგუმენტებს, და განაცხადა, რომ სადაო სასამართლო ბრძანება სათანადოდ იყო დასაბუთებული.

135. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:

„ამ მუხლის 1-ლი (c) პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირ ...ს უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით“.

(ა) 2006 წლის 6 და 14 ივნისის სასამართლო ბრძანებების თაობაზე

136. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2006 წლის 6 და 14 ივნისის სასამართლო ბრძანებები ერთიდაიგივე *habeas corpus* პროცედურის ორ ისტანციას წარმოადგენდნენ, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის საწყის ეტაპზე. შემდგომში, იმის დასადგენად პატიმრობის ეს პერიოდი უნდა მიჩნეულიყო თუ არა გონივრულად, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით, ზემოხსენებული ბრძანებების დასაბუთება ერთიანად მთლიანობაში უნდა იქნას განხილული პროცესის მონაწილე მხარეთა არგუმენტებთან ერთად (შეადარეთ საქმეს *რამიშვილი და კოხრეიძე*, იხ. ზევით; *გალუაშვილი*, იხ. ზევით, §§46 და 48, 17 ივლისი, 2008; *Jabłoński v. Poland*, no. 33492/96, § 79, 21 დეკემბერი, 2000).

137. სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურორის შუამდგომლობაში, განმცხადებლისთვის შეეფარდებინათ წინასწარი პატიმრობა, მოყვანილი ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც შემდგომ გაითვალისწინა ეროვნულმა სასამართლომ სადაო ბრძანებებში, საკმარისად მჭიდრო კავშირში იყო საქმის გარემოებებთან. კერძოდ, არსებობდა იმის საფრთხე, რომ გათავისუფლების შემთხვევაში პირველი განმცხადებელი გამოიყენებდა თავის ძალაუფლებას, როგორც ყოფილი მაღალჩინოსანი, რათა პროცესის მხარეებზე ზეწოლა მოეხდინა. სასამართლო დასაბუთების ამ ნაწილს აშკარად უსაფუძვლოდ ან იმ დროისათვის არარელევანტურად არ მიიჩნევს. შესაბამისად, პატიმრობის პერიოდი, რომელიც განცხადებელს მიესაჯა ამ ორი სადაო სასამართლო ბრძანებით – 25 დღე, მისი დაკავების მომენტიდან, 2006 წლის 4 ივნისიდან 29 ივნისამდე, როცა მისი პატიმრობის გადასინჯვა მოხდა – არ შეიძლება დაუსაბუთებლად ჩაითვალოს, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე (შეადარეთ საქმეებს *რამიშვილი და კოხრეიძე*, იხ. ზევით, და *გალუაშვილი*, იხ. ზევით, §50).

138. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ 2006 წლის 6 და 14 ივნისის სასამართლო ბრძანებებით კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ დარღვეულა.

(ბ) 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო ბრძანების თაობაზე

139. სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო 2006 წლის 29 ივნისს პირველი განცხადებლის პატიმრობის ვადის გაგრძელებისას, მისი ვალდებულების ნაცვლად, დამაჯერებლად დაედგინა კონკრეტული ფაქტების არსებობა, რაც გაამართლებდა პირის პატიმრობაში დატოვებას, და ემსჯელა წინასწარი პატიმრობის ალტერნატიულ არა-საპატიმრო ღონისძიებების შეფარდებაზე, მოქმედებდა არაგულისხმიერად და ბრძანების ფორმად გამოიყენა წინასწარ მომზადებული ნიმუში, სადაც აბსტრაქტული ტერმინებით იყო წინასწარ ჩაბეჭდილი პატიმრობის დასაბუთება. ამ ნაკლის მქონე ბრძანებით პირველი განცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა დამატებით 6 თვისა და 24 დღის განმავლობაში (იხ. ზევით §62). პატიმრობის ეს პერიოდი ვერ ჩაითვლება გონივრულად, სადაო ბრძანებაში სათანადო და საკმარისი დასაბუთების არარსებობის გამო (იხ. *გიორგი ნიკოლაიშვილი*, იხ. ზევით, §§73, 76 და 79, და *ფაცურია*, იხ. ზევით, §74).

140. სასამართლო ასკენის, რომ 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო ბრძანებით დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

2. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

141. პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ 2006 წლის 14 და 29 ივნისის სასამართლო განხილვები არასამართლიანი იყო, რადგან არ გამართულა ზეპირი მოსმენა.

142. მთავრობის არგუმენტაციით, რადგან პირველი განმცხადებლისა და მისი ორი აღვოკატის მონაწილეობით 2006 წლის 6 ივნისს პირველ ინსტანციაში ზეპირი მოსმენა გაიმართა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 14 ივნისს მეორე ზეპირი მოსმენის გამართვა აუცილებლად აღარ მიიჩნია. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკმარისი იყო პირველ განმცხადებელს წერილობითი ფორმით მიემართა სააპელაციო სასამართლოსთვის და 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, წერილობითი, საკმარისად დასაბუთებული პასუხები მიეღო საკუთარ არგუმენტებზე.

143. მთავრობამ ანალოგიური არგუმენტაციისთ გაამართლა ზეპირი მოსმენის გარეშე 2006 წლის 29 ივნისს პირველი განმცხადებლის პატიმრობის საკითხის განხილვა რაც შესაბამისობაში იყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან.

144. განმცხადებელს მთავრობის არგუმენტაციაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

145. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

„ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და ბრძანებს გათავისუფლებას, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი“

146. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს დებულება დაკავებულ პირს უფლებამოსილებას აძლევს გაასაჩივროს პროცედურული და ძირითადი პირობების დარღვევა, რომლებიც არსებითია, კონვენციის მნიშვნელობით, მისი თავისუფლების აღკვეთის „კანონიერების“ განხილვისას (იხ., ბევრ სხვა გადაწყვეტილებასთან ერთად, *Brogan and Others v. the United Kingdom*, 29 ნოემბერი, 1988, §65, სერია A, № 145 - B). სასამართლო განიხილვა უნდა იყოს შეჯიბრებითობის და „მხარეთა თანასწორობის“ პრინციპზე დაფუძნებული. საქმეზე, რომელიც ხდება მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის ფარგლებში, მოსმენა აუცილებელი მოთხოვნაა (იხ., სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, *Nikolova v. Bulgaria* [GC], no. 31195/96, § 58, ECHR 1999-II). თუმცა, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი იმგვარად არ უნდა განიმარტოს, თითქოს დაკავების კანონიერების გადასინჯვა დაცვის იგივე გარანტიებს უნდა უზრუნველყოფდეს, როგორიც კონვენციის მე-6 მუხლით სისხლის ან სამოქალაქო სამართალწარმოებისას არის აუცილებელი (იხ., მაგალითისთვის, *Wloch v. Poland*, no. 27785/95, § 125, ECHR 2000-XI).

(ა) 2006 წლის 14 ივნისის სასამართლო გადასინჯვის თაობაზე

147. სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ პირველ ინსტანციაში პირველი განცხადებლის წინასწარი პატიმრობის შეფარდების განხილვისას, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 6 ივნისს გულდასმით განიხილა პირველი განცხადებლის და მისი ორი ადვოკატის არგუმენტები ზეპირ მოსმენაზე (იხ. § 59 ზევით). სისხლის სამართლის საქმე არ შეიცავს არანაირ საფუძველს ეჭვქვეშ დადგეს ზემოხსენებულ მოსმენაზე შეჯიბრობითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაუცველობა; ამაზე პირველ განცხადებელს არც უდავია.

148. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ პროკურორს არ წარმოუდგენია შესაგებელი პირველი განმცხადებლის სააპელაციო საჩივარზე, რომლითაც იგი ასაჩივრებდა 2006 წლის 6 ივნისის პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას (იხ. ზევით §61). შესაბამისად, პირველი განცხადებელი ვერ დაასაბუთებდა, რომ ზეპირი მოსმენის არარსებობამ მას დაუკარგა შესაძლებლობა გაცნობიდა და საჭიროების შემთხვევაში, რეაგირება მოეხდინა მეორე მხარის არგუმენტებზე 2006 წლის 14 ივნისის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (იხ. საპირისპიროდ, *Toth v. Austria*, 12 დეკემბერი, 1991, §84, სერია A no. 224; *გიორგი ნიკოლაიშვილი*, იხ. ზევით, §§ 93 და 94; *mutatis mutandis*, *Depa v. Poland*, no. 62324/00, §§ 46-48, 12 დეკემბერი 2006).

149. და ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებაში პასუხი გასცა პირველი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ყველა მთავარ არგუმენტს (იხ. ზევით §61), სასამართლოს საფუძველი არ აქვს ეჭვქვეშ დააყენოს წერილობითი პროცედურის ეფექტიანობა. გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, რომ სამართლებრივი არგუმენტაცია, ისევე როგორც საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი მონაცემები, შესაძლოა სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნას ერთნაირად ეფექტიანად როგორც წერილობით, ასევე ზეპირსიტყვიერად (იხ., *mutatis mutandis*, *რიჟაძე საქართველოს წინააღმდეგ*, no. 2745/03, §§ 40-42, 31 ივლისი 2007).

150. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ იმის გათვალისწინებით, რომ პირველ განმცხადებელს და მის ორ ადვოკატს შესაძლებლობა მიეცათ ესარგებლათ შეჯიბრობითობით ზეპირ მოსმენაზე პირველ ინსტანციაში და რომ პროკურორს კომენტარი არ გაუკეთებია განმცხადებლის სააპელაციო საჩივარზე მისი დაკავების კანონიერების შესახებ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2006 წლის 14 ივნისს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა არ ჩაითვლება შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევად პირველი განმცხადებლისათვის.

151. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

(ბ) 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვის თაობაზე

152. რაც შეეხება 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშე, რომლის დროსაც, თბილისის საქალაქო სასამართლომ მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე პირველ განცხადებელს პატიმრობა გაუგრძელა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამგვარ სიტუაციაზე მან

უკვე იმსჯელა საქმეში *გიორგი ნიკოლაიშვილი* (იხ. ზევით §§93-96) და იგი მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ ცნო.

153. ამგვარად, შიდა კანონმდებლობით და პრაქტიკით, წინამდებარე საქმეშიც, პროკურორს უპირატესობა გააჩნდა საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, საბრალდებო დასკვნასთან ერთად, მიემართა შუამდგომლობებით პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რომლებზეც პირველი განმცხადებელი ვერ იდავებდა ვერც ზეპირსიტყვიერად და ვერც წერილობით. შესაბამისად, 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვა მოკლებული იყო შეჯიბრებითობას, და ხსენებულის დროს დარღვეული იყო მხარეთა თანასწორობის პრინციპი. თუნდაც შესაბამისი გადაწყვეტილების ფორმა – ნიმუში, რომელშიც დასკვნები წინასწარ ჩაბეჭდეს – იძლევა საფუძველს ითქვას, რომ 2006 წლის 29 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ ჩაატარა სათანადო სასამართლო განხილვა (იხ. *გიორგი ნიკოლაიშვილი*, იხ. ზევით, §§39 და 93-96, და *Belevitskiy v. Russia*, no. 72967/01, § 111, 1 მარტი 2007).

154. შესაბამისად, 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვასთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

155. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად :

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერველი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა). ზიანი

156. მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად განმცხადებელი მოითხოვდა 1220 ევრის, 10570 ამერიკული დოლარის (7712 ევრო) და 679 721.14 ლარის (289,673.12 ევროს), რომელიც მან განიცადა კოტეჯში არსებული ფასეულობების და სხვა ნივთების დაკარგვის გამო. განმცხადებელი ასევე მოითხოვდა მთლიანობაში 90 000 ევროს როგორც კომპენსაციას იმის გამო, რომ სახელმწიფომ მას და მის ოჯახს არ მისცა ალტერნატიული საცხოვრებელი კოტეჯის სანაცვლოდ. განმცხადებლები ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ ისინი უკან წაიღებდნენ ხსენებულ პრეტენზიას, თუკი სახელმწიფო დათანხმდებოდა და დაუბრუნებდა მათ კოტეჯს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებამდე, როგორც ეს გათვალისწინებულია დევნილთა შესახებ კანონმდებლობით. და ბოლოს თითოეული განმცხადებელი მოითხოვდა 75 000 ევროს მორალური ზიანისათვის.

157. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის პრეტენზიები აშკარად დაუსაბუთებელი და გაბერილი იყო. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუკი სასამართლო მაინც დაადგენდა, რომ წინამდებარე საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას, თავად ეს საკმარისი სამართლიანი დაკმაყოფილება იქნებოდა განმცხადებლისათვის.

158. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს დაუშვებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებას (იხ. 84-ე და 96-ე პუნქტები) და უარყოფს პირველი განმცხადებლის პრეტენზიას მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მოძრავი ქონების დაკარგვას. სასამართლო ასევე უარყოფს დარჩენილი 5 განმცხადებლის ყველა სახის პრეტენზიას მატერიალურ და მორალურ ზიანთან დაკავშირებით.

159. თუმცა სასამართლო აღგენს, რომ პირველი განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი კომპენსაცია ჩამორთმეული კოტეჯის სანაცვლოდ მიზეზობრივად არის დაკავშირებული კონვენციის მე-8 მუხლით და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გარანტირებული მისი უფლებების დარღვევასთან. როგორც პრეტენზიის ფორმულირებიდან ნათლად ჩანს, პირველი განმცხადებელი პრინციპში მოითხოვს *restitutio in integrum* (უფლების დარღვევამდე არსებული სიტუაციის აღდგენას) რასაც სასამართლო გონივრულად მიიჩნევს. სხენებულთან მიმართებაში სასამართლო იმეორებს, რომ განიხილება, რომელშიც სტრასბურგის სასამართლო აღგენს ხოლმე, რომ აღგილი ჰქონდა კონვენციის ან მისის ოქმების დარღვევას მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას არამხოლოდ გადაიხადოს ის შესაბამისი თანხები, რომელიც სასამართლომ დააკისრა სახელმწიფოს სამართლიანი დაკმაყოფილების სახით, არამედ ასევე აირჩიოს, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის პარალელურად, ზოგადი და/ან შესაბამის შემთხვევაში, ინდივიდუალური ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, რათა ბოლო მოეღოს სასამართლოს მიერ დაფიქსირებულ დარღვევას. მოპასუხე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს დარღვევის შედეგად გამოწვეული ყველა შესაძლო შედეგის აღმოფხვრა იმგვარად, რომ აღდგენილ იქნეს დარღვევამდე არსებული სიტუაცია (სხვა მაგალითებს შორის იხ. *Apostol v. Georgia*, no. 40765/02, § 71, ECHR 2006-...; *FC Mretebi v. Georgia*, no. 38736/04, § 61, 31 July 2007; და *Assanidze-s ზემოხსენებული საქმე*, § 198).

160. შესაბამისად, ითვალისწინებს რა წინამდებარე საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებებს და იმ სხვა შესაძლო სხვა ღონისძიებებისათვის ხელის შეშლის გარეშე, რომლებიც მიზნად ისახავენ განმცხადებლის მე-8 და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გამოსწორებას, სასამართლო თვლის, რომ ანაზრდაურების ყველაზე ჯეროვან ფორმას წარმოადგენს დევნილთა კანონით გათვალისწინებული *restitutio in integrum*, ანუ პირველი განმცხადებლის მფლობელობაში კოტეჯის დაბრუნება იმ მომენტამდე სანამ აფხაზეთში, საქართველო, დამყარდება ის პირობები, რომელიც განმცხადებელს შესაძლებლობას მისცემს მშვიდობიანად და ღირსეულად დაბრუნდეს იქ. ალტერნატიულად იმ შემთხვევაში თუკი კოტეჯის დაბრუნება შეუძლებელი იქნება, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი განმცხადებლის პრეტენზია ასევე შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს

მისთვის როგორც დენილისათვის სანაცვლო ჯეროვანი საცხოვრებლის შეთავაზებით ან კოტეჯის გამოყენების უფლების დაკარგვის გამო ჯეროვანი კომპენსაციის გადახდით, რომლის ოდენობაც შეთანხმებულ უნდა იქნეს მხარეებს შორის 6 თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც განჩინება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. თუმცა იმ შემთხვევაში თუკი მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ხსენებული პერიოდის განმავლობაში, სასამართლო იტოვებს უფლებას განახორციელოს შემდგომი პროცედურები კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, რათა თავად განსაზღვროს ასეთი კომპენსაციის მოცულობა (სასამართლო რეგლამენტის 75-ე მუხლის 1 და მე-4 წესები).

161. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს ეჭვი არ ეპარება იმაში რომ პირველმა განმცხადებელმა განიცადა ტანჯვა და ფრუსტრაცია კონვენციით და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გარანტირებულ მის დარღვეულ უფლებებთან დაკავშირებით. შედეგად გამოწვეული მორალური ზიანი ადეკვატურად არ იქნება ანაზღაურებული მხოლოდ არსებული დარღვევების დადგენით. სასამართლო გონივრულად თვლის თანასწორობის საფუძველზე მიანიჭოს პირველ განმცხადებელს 15000 ევრო მორალური ზიანისათვის.

ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები

162. განმცხადებლის წარმომადგენლები ითხოვდნენ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას 1200 ლარის (510) ოდენობით რაც უზენაესი სასამართლოსათვის იქნა გადახდილი ბაჟის სახით კოტეჯის დაბრუნებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას ისევე როგორც 132.65 ლარს და 265 ამერიკულ დოლარს (მთლიანობაში 242 ევრო), რომლებიც გაღებულ იქნა წარმოდგენილი ინვოისების შესაბამისად, საფოსტო და მთარგმნელობითი ხარჯებისათვის სასამართლოს წინაშე გამართული სამართალწარმოებისას. წარმომადგენლები ასევე მოითხოვდნენ 16100 ლარს (6834 ევროს) სამართლებრივი დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს განმცხადებელს როგორც ეროვნული სამართალწარმოებისას ასევე სტრასბურგის სასამართლოს წინაშე წარმოებული პროცედურებისას. არანაირი ინვოისი, კონტრაქტი ან სხვა სახის დოკუმენტაცია არ ყოფილა წარმოდგენილი ამ უკანასკნელ პრეტენზიასთან დაკავშირებით და წარმომადგენლებმა ხსენებული ახსნეს იმით, რომ მათი მომსახურება გაწეულ იქნა უფასოდ იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლები მძიმე სოციალურ და ფინანსურ სიტუაციაში იყვნენ.

163. მთავრობა ამტკიცებდა, რომ რადგანაც წარმომადგენლებმა განმცხადებელს სამართლებრივი დახმარება გაუწიეს უფასოდ, არანაირი ანაზღაურების გადახდა არ უნდა მომხდარიყო მათთვის.

164. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად (მაგალითისათვის იხ. *Ghavitadze*

v. Georgia, no. 23204/07, §§ 118 and 120, 2009 წლის 3 მარტი) და ზემოხსენებული პრეტენზიების ჯეროვნად განხილვის შემდგომ, ისევე როგორც არასაკმარისი დოკუმენტური მტკიცებულების ქონის გამო, სასამართლო თვლის, რომ პირველ განმცხადებელს უნდა მიენიჭოს მხოლოდ 510 ევრო იმ თანხის ასანაზღაურებლად, რომელიც მან გადაიხადა საკასაციო სამართალწარმოებისას და 242 ევრო საფოსტო და მთარგმნელობითი ხარჯებისათვის.

გ. საურავი

165. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი უნდა დაწესდეს ცენტრალური ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილი მინიმალური პროცენტის სახით, რომელსაც უნდა დაემატოს სამ პროცენტიანი ციფრი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო

1. ერთხმად მიიჩნევს არსებით განხილვაზე დაშვებულად განმცხადებლის საჩივრებს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, კონვენციის მე-8 მუხლის და დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან დაკავშირებით და არსებით განხილვაზე დაუშვებლად აცხადებს ყველა სხვა საჩივარს;
2. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას 2006 წლის 6 და 14 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილებების გამო;
3. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას ეროვნული სასამართლოს 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების გამო;
4. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას ეროვნული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების გამო;
5. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას ეროვნული სასამართლოს 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების გამო;
6. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას კოტეჯის ჩამორთმევის გამო;
7. 6 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას კოტეჯის ჩამორთმევის გამო;
8. 6 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ
 - ა) იმ შემთხვევაში თუკი კოტეჯის დაბრუნება შეუძლებელი იქნება, სახელმწიფომ განმცხადებელს, როგორც დევნილს, უნდა შესთავაზოს სანაცვლო ჯეროვანი საცხოვრებელი ან გადაუხადოს მას, ორმხრივი შეთანხმების შედეგად (160-ე პუნქტი), გონივრული კომპენსაცია მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში პლიუს

ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხაზე შეიძლება იქნეს დაკისრებული , 6 თვის განმავლობაში მას შემდგომ რაც წინამდებარე განჩინება გახდება საბოლოო კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ;

- ბ) იმ შემთხვევაში თუკი მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ფულადი კომპენსაციის ოდენობასთან მიმართებაში, სასამართლო თავად განსაზღვრავს მთავრობის მიერ გადასახდელ თანხას (იხ. 160-ე პუნქტი);

შესაბამისად სასამართლო,

- (i) მაწილობრივად იტოვებს უფლებას იმსჯელოს კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით ;
- (ii) იწვევს მთავრობას და პირველ განმცხადებელს 6 თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე განჩინება გახდება საბოლოო, წარმოადგინონ წერილობითი კომენტარები ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ კი შეატყობინონ სასამართლოს შეთანხმების შესახებ, რომელიც შესაძლოა მიღწეულ იქნეს მათ შორის ;
- (iii) იტოვებს უფლებას აწარმოოს შემდგომი პროცედურები და ახდენს პალატის თავმჯდომარეზე იმ უფლებამოსილების დელეგირებას, რომ მან საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროს ხსენებული საკითხი.

9. ერთხმად ადგენს, რომ

- ა) მოპასუხე სახელმწიფომ იმ მომენტიდან 3 თვის ვადაში, როდესაც წინამდებარე განჩინება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განმცხადებელს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები, რომლებიც გადაყვანილ უნდა იქნეს მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში გადახდის დღისათვის არსებული კურსით ;

(i) 15000 ევრო (თხუთმეტი ათასი ევრო) მორალური ზიანისათვის პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაკისრებულ იქნეს

(ii) 752 ევრო (შვიდასორმოცდათორმეტი ევრო) ხარჯების და გაწეული დანახარჯებისათვის პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაკისრებულ იქნეს

(ბ) რომ ზემოხსენებული 3 თვიანი ვადის გასვლის შემდგომ გადახდის დღემდე საურავი უნდა იქნეს გადახდილი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილი მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამ პროცენტიანი ციფრი;

10. უარყოფს დანარჩენ პროექტებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე, და გაცხადებულია წერილობითი სახით 2010 წლის 27 მაისს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სალი დოლე
სექციის მდივანი

ფრანსუაზა ტულკენსი
სექციის თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის და სასამართლო რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის შესაბამისად შემდეგი განცალკევებული მოსაზრებები თან ერთვის წინამდებარე განჩინებას:

- ა) მოსამართლე ჟოსიენეს ნაწილობრივ თანხმედრი მოსაზრება
- ბ) მოსამართლე კაბრალ ბარეტოს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

მოსამართლე ჟოსიენის ნაწილობრივ თანმხვედრი მოსაზრება

ვეთანხმები აღწერილობით ნაწილში მოყვანილ პალატის დასკვნებს. მე პალატის უმრავლესობასთან ერთად ხმა დავუჭირე დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის შესახებ გადაწყვეტილებას; თუმცა, მსურს ორ გადამწყვეტ ასპექტზე გავაკეთო აქცენტი 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის გამოყენებადობასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, ამ სფეროში განვითარებული სასამართლო პრეცედენტების გათვალისწინებით (იხ. გადაწყვეტილების პუნქტები 106 და 108, და განსაკუთრებით კი მოსამართლე მულარონის განსხვავებული მოსაზრება საქმეში *Öneryıldız v. Turkey* [GC], no. 48939/99, ECHR 2004 XII) , ვთვლი, რომ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის გამოყენებადობა წინამდებარე საქმეში რამდენიმე საკითხს წამოსწევს. მინდა ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ პირველ განმცხადებელს სადაო კოტეჯი გადასცეს მისი სამსახურეობრივი მიზნებისათვის, როგორც აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანს (იხ. §§ 8 და 104). ეს ფაქტი, ჩვეულებრივ გარემოებებში, იმას ნიშნავდა, რომ განმცხადებელს შეეძლო კოტეჯით სარგებლობა სანამ იგი ოფიციალურ მოვალეობებს ასრულებდა ზემოხსენებულ სამინისტროში. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მისი დათხოვნის შემდგომ, განმცხადებელს აღარ უნდა ეცხოვრა ზემოხსენებულ კოტეჯში, რადგან იგი მას მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნებისათვის გადაეცა.

მაგრამ წინამდებარე საქმეს ძალზედ სპეციფიური გარემოებები ახლავს თან, რომლებიც, ჩემი აზრით, ხვდება 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედების სფეროში. ვაღიარებ რა ფაქტს, რომ კოტეჯი განმცხადებელს გადაეცა ოფიციალური მიზნებისათვის, მინდა აღვნიშნო, რომ პირველმა განმცხადებელმა 2000 წლის 20 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიიღო ოფიციალური წერილი, რითაც დასტურდებოდა, რომ იგი და მისი ოჯახი აღნიშნულ კოტეჯში შესახლდნენ 1994 წელს მინისტრის მიერ 1996 წლის 28 ივნისის იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა შესახებ კანონის საფუძველზე გამოცემული ბრძანებით ("იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონი" – იხ. გადაწყვეტილების მე-12 პუნქტი). მე ვიზიარებ 105-ე პუნქტში მოყვანილ პალატის არგუმენტებს და დამატებით მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოს ცალსახად ეკისრებოდა სამართლებრივი ვალდებულება დაესახლებინა და დაეცვა იძულებით გადაადგილებული პირები 1993 წლიდან 1994 წლამდე საქართველოში გამეფებული ჰუმანიტარული კრიზისის დროს. მხედველობაში ვიღებ რა 107-ე პუნქტში ჩამოყალიბებულ პალატის არგუმენტებს, რომ სახელმწიფომ, სხვადასხვა სამართლებრივი აქტების მიღებით, განამტკიცა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები საბინაო სექტორში და მათი დაცვის სერიოზული გარანტიები შექმნა, ვთვლი, რომ ამგვარად ცალსახად არსებული სახელმწიფო ვალდებულება დაიცვას იძულებით

გადაადგილებულ პირთა უფლებები, მათი დაბინავების უფლების ჩათვლით, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის წარმოშობს მატერიალურ უფლებას, რაც მოიაზრება 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლში.

უფრო მეტიც, მოვიყვან მეორე არგუმენტსაც ამ საქმეში 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის გამოყენების სასარგებლოდ: საქართველოს სასამართლოებმა სამივე ინსტანციაში (იხ. გადაწყვეტილების §§ 25-44) ცალსახად დაადგინეს, რომ განმცხადებელი „ფლობდა“ კოტეჯს (იხ. №№26, 36, 43 და 44). ეროპის სასამართლომ, თავის პრეცედენტულ სამართალში, აღიარა მისი „*დამხმარე ხასიათი*“ (იხ. *Scordino v. Italy* (no. 1) [GC], no. 36813/97, § 140, ECHR 2006-V), რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ რიგში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, კერძოდ კი სასამართლოები, ახდენენ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ინტერპრეტაციას და მის გამოყენებას (იხ., *mutatis mutandis*, *Kopp v. Switzerland*, 25 მარტი 1998, § 59, *Reports of Judgments and Decisions* 1998-II). წინამდებარე საქმეში, საქართველოს სასამართლოების მიერ ცალსახა აღიარებას, რომ პირველი განმცხადებელი „ფლობდა“ და სარგებლობდა სადაო კოტეჯით, ხსენებულ საქმეს აქცევს 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის ფარგლებში.

მოსამართლე კაბრალ ბარეტოს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

ვეთანხმები უმრავლესობას დასაბუთების ყველა ნაწილში, გარდა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის ნაწილისა.

ჩემი აზრით, პირველი განმცხადებელი არ გვევლინებოდა ქონების მესაკუთრედ, 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე.

1. როგორც გადაწყვეტილების მე-8 პუნქტში აღინიშნა, პირველი განმცხადებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი იყო, რომელსაც 1994 წლის იანვარში შესთავაზეს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა; მას შემდეგ რაც იგი დათანხმდა შეთავაზებულ თანამდებობას, მას დამ ის ოჯახის საცხოვრებლად გადასცეს სამინისტროს კუთვნილი კოტეჯი.

2. ჩემი გაგებით, განმცხადებელს კოტეჯი შესთავაზეს, როგორც საჯარო მოსამსახურეს.

განმცხადებელი სარგებლობდა ზემოაღნიშნული ქონებით არა საკუთარი სახელით, არამედ მესაკუთრის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით.

განმცხადებელს კოტეჯით 10 წელზე მეტი დროითაც რომ ესარგებლა, არასოდეს შეიცვლებოდა მისი სამართლებრივი სტატუსი ქონებასთან მიმართებაში.

3. თუმცა, კონკრეტულ საცხოვრებელში შესახლების უფლება, რომლის მესაკუთრეც ეს პირი არ არის, არ უტოლდება 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით დაცულ საკუთრების უფლებას (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *JLS v. Spain*, no. 41917/98, *Reports* 1999-V).

თუნდაც მომხდარიყო კონკრეტული ქონების ჩამორთმევა ან მის ფლობაში ხელის შეშლა, მხოლოდ მესაკუთრეს ან პირს, რომელიც ქონებას ფლობდა საკუთარი სახელით, შეეძლო ეჩივლა კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის შესახებ.

4. ზემოხსენებულის მხედველობაში მიღებით, გამჯობინებდი განხილულიყო ის მოვლენები, რომლებიც განმცხადებელს გადახდა კონვენციის მე-8 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე და დადგენილიყო საცხოვრებლის პატივისცემის უფლების დარღვევა.

¹ აქაც და ყველგან სხვაგან მიახლოებითი გადაანგარიშება მოცემულია ქართული ლარის გაცვლითი კურსით აშშ. დოლართან და ევროსთან მიმართებაში 2010 წლის 21 იანვრისათვის